

ადამიანის უფლებათა და
თავისუფლებათა საფუძვლები

'Grundlagen von Menschenrechten und Freiheiten'

Auflage: 1. 000
Verfasser: Zentrum für Entwicklung und Zusammenarbeit
Seitenzahl: 70
Sprache: Georgisch
Originaltitel: 'Adamianis uplebebi fa tavisuplebebis sapudswlebi'

A 01 - 02211

თბილისი
2000



Principles of Human Rights and Freedoms

Training films produced by Human Rights Helsinki Foundation of Poland are translated and worked out by

Pridon Sakvarelidze

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძვლები

პოლონეთის ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ფონდის მიერ შექმნილი სასწავლო ფილმები თარგმნა და გადამამუშავა **ფრიდონ საყვარელიძე**

EDITOR: **Center for Development and Cooperation**
ბამომცემელი: განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრი

© ფრიდონ ებერტის ფონდი



პროექტი დააფინანსა ფრიდონ ებერტის ფონდმა

თქვენს წინაშეა პოლონეთის ჰელსინკის ფონდის მიერ შექმნილი სასწავლო ფილმების ტექსტები, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ფუნდამენტურ საკითხებს ეძღვნება. მათში დაწვრილებით არის განმარტებული ის ცნებები, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საფუძველს შეადგენენ, აგრეთვე ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

ამ ტექსტებს, ჩვენი აზრით, თავისთავადი, ფილმებისაგან დამოუკიდებელი ღირებულება გააჩნიათ. სწორედ ამიტომ ეცანით საჭიროდ მათი ცალკე წიგნად გამოცემა. ტექსტებს წინ უძღვის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, როგორც ამ სფეროში შექმნილი უნივერსალური ტიპის დოკუმენტი.

სულ წარმოდგენილია ათი სასწავლო ფილმის ტექსტი. ჩვენ ისინი პირობითად ორ ნაწილად დავეყავით. პირველი ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ საკითხებს ეძღვნება. ესენია: ღირსება, თანასწორობა, თავისუფლება, ხელისუფლების საზღვრები, თამაშის წესები. მეორე ნაწილი კი კონკრეტულ უფლებებსა და თავისუფლებებს – ესენია: სიცოცხლის, პირადი ცხოვრების, საკუთრების, პროტესტის უფლებებს, აგრეთვე სიტყვის თავისუფლებას. ეხლა კი, მოკლედ მოგიხსრობთ ამ ფილმების შემქმნელი ორგანიზაციის შესახებ.

პოლონეთის ჰელსინკის კომიტეტი სამხედრო მდგომარეობის პერიოდში 1982 წელს დაფუძნდა პოლონელ ინტელექტუალთა ჯგუფმა. იმ დროისათვის იატაკქვეშა ორგანიზაციამ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნა საკუთარი ქსელი. 1983 წელს ჯგუფმა თავისი პირველი ანგარიში მოამზადა – *პოლონეთი სამხედრო მდგომარეობის დროს*. ორტომიანი ანგარიში ათასი გვერდისაგან შედგებოდა. ანგარიში დასავლეთში გადასწროლეს, თარგმნეს ინგლისურად და ფრანგულად და ეშუილ-ის მადრიდის კონფერენციაზე წარადგინეს. პოლიტოლოგთა აზრით, ანგარიში მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა კონფერენციის მსვლელობაზე.

კომიტეტის იატაკქვეშითი მოღვაწეობის დროს საკმაოდ მწვავედ დადგა ანგარიშის ავტორიზაციის, და, აქედან გამომდინარე, მისი უტყუარობის საკითხი. პირველი ანგარიშების უტყუარობას თავდებად თვით ღვხ კადუნსა დაუდგა. შემდგომში, მას შემდეგ რაც კომიტეტმა მაღალი ავტორიტეტი მოიხვეჭა დასავლეთში, ასეთი თავდებობა საჭირო აღარ იყო.

1989 წლის ნაწილობრივ თავისუფალი საპარლამენტო არჩევნების შედეგად, კომიტეტის წევრთა ნახევარი პარლამენტის წევრი და თავადუშ მახოვეციკის პირველი, არაკომუნისტური მთავრობის წევრი გახდა. სწორედ ამ დროს იქნა მიღებული მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომ მათ უნდა შეაჩერონ კომიტეტის წევრობა პარლამენტში ან მთავრობაში მუშაობის დროს, ვინაიდან, როგორც ოფიციალურ პირებს, აღარ შეეძლებათ ერთდროულად ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობისათვის თვალყურის დევნება. ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნების ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციები, რომლებსაც არ მიუღიათ ასეთი გადაწყვეტილება, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაითრიეს, რამაც იხინი მნიშვნელოვნად დაასუსტა ან განხეთქილება შეიტანა მათ რიგებში.

1989 წლის ბოლოს კომიტეტის წევრებმა დაფუძნეს ადამიანის უფლებათა პედაგოგიის ფონდი. დაარსების დღიდან მთელ პრაქტიკულ საქმიანობას ფონდი ახორციელებს. ფონდის ძირითადი მიზნებია – საგანმანათლებლო საქმიანობა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგი. 1991 წლიდან მოყოლებული ევროსაბჭოს დახმარებით ფონდი ყოველწლიურად აწყობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოებრივ კონგრესებს, რომელიც ყოფილი კომუნისტური ქვეყნების იურისტების, პარლამენტის წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერთათვის ტარდება. ლექციებს კითხულობენ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატის წარმომადგენლები, ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიის წევრები, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის ლექტორები, პოლონური და დასავლეთევროპული უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები და ა.შ. არ შეიძლება არ აღინიშნოს მომხსენებლების მაღალი პროფესიონალიზმი, და, განსაკუთრებით, ფონდის დამმართველები და მისი მუდმივი თავმჯდომარის ბატონი მარკე ნოვიციკის ბრწყინვალე ლექციები.

თქვენს წინაშე წარმოდგენილი ტექსტებიც მათ მიერ შექმნილი მრავალრიცხოვანი სასწავლო ფილმებიდანაა, რომელთა შორის ჩვენს პირველი 10 ფილმის ტექსტი ავარჩიეთ, რომელთა შესწავლის გარეშეც, ჩვენს აზრით შეუძლებელია ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებში სრულფასოვანი გარკვევა.

ფრიდონ საყვარელიძე

შესავალი

მმართველნი ყოველთვის ცდილობენ შეზღუდონ ხალხის უფლებები და თავისუფლებები. ასე იყო, არის და იქნება, რადგან უფლებათა შეზღუდვისას უფრო ადვილია ხალხის მართვა და „კეთილშობილური“ პოლიტიკური მიზნების განხორციელება. მაგრამ პარლამენტებისა და მთავრობებისათვის ყველაფერი არ არის ნებადართული, მათ ზღუდაც კონსტიტუციები და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო კონვენციები, როდესაც ცხადი გახდა, რამდენად სასტიკი შეიძლება იყოს საკუთარ მოქალაქეთა და რამდენად სახიფათო სხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ დემოკრატიულად არჩეული მთავრობა. ხელისუფლებას ეშინია სასოგადოებრივი აზრის, მოქალაქე, რომელმაც იცის და რომელსაც ესმის საკუთარი უფლებები და აქვს მათი პრაქტიკული გამოყენების უნარი, დაუცველი აღარ არის.

ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორი იბადება, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით. ადამიანის ღირსება – მისი განუყოფელი და თანდაყოლილი თვისება, რელიგიური და ფილოსოფიური საფუძვლების მიუხედავად, ის ფუნდამენტია, რომელზედაც დაფუძნებულია უფლებათა და თავისუფლებათა საერთო ბურჯები.

რა არის ადამიანის უფლებები?

თავი I

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მიღებული და გამოცხადებულია გენერალური ასამბლეის
217 A (III) რეზოლუციით 1948 წლის 10 დეკემბერს.

პრეამბულა

ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო შვიდობის საფუძველს;

ვინაიდან ადამიანის უფლებათა უზღუდელყოფამ და აბუნად აგდება გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს, და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია, ადამიანთა მაღალი მისწრაფებად;

ვინაიდან აუცილებელია უფლებებს იცავდეს კანონი იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იშუალებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ;

ვინაიდან აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის;

ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაიდასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და მამაკაცისა და ქალის თანასწორ უფლებიანობისადმი და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში;

ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას;

ვინაიდან ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის,

ამიტომ

გენერალური ასამბლეა

აცხადებს ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ესწრაფოდეს ყველა ხალხი და ყველა სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, მხედველობაში მიიღებს რა ამ დეკლარაციას, მისიწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და უწყვეტ აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ეროვნული თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით, როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა, ასევე ამ სახელმწიფოთა იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თავისი ღირსებითა და უფლებებით თანასწორი. მათ მომადლებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთს ძმობის სულისკვეთებით უნდა ეპყრობოდნენ.

მუხლი 2

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია - დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ

სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

მუხლი 3

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელ-
შეუხებლობის უფლება.

მუხლი 4

არავინ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების
მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათუტაობა აკრძალულია.

მუხლი 5

არავის მიმართ არ უნდა იყოს გამოყენებული წაშება ან სასტიკი, არა-
ადამიანური თუ მისი ღირსების შექლახავი მოპყრობა და სასჯელი.

მუხლი 6

ყოველ ადამიანს, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, უფლება აქვს ცნონ
მისი სამართალსუბიექტობა.

მუხლი 7

ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე
განსხვავებისა, უფლება აქვს თანაბრად იყოს დაცული კანონით. ყოველ
ადამიანს უფლება აქვს თანაბრად იყოს დაცული ნებისმიერი დისკრი-
მინაციისაგან, რომელიც არღვევს ამ დეკლარაციას და ასეთი დისკრიმი-
ნაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.

მუხლი 8

ყოველ ადამიანს უფლება აქვს ევკეტურად აღიღინოს თავისი უფლებები
კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოში იმ შემთხვევაში, როცა დარღვეუ-
ლია მისი კონსტიტუციური თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

მუხლი 9

არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

მუხლი 10

ყოველ ადამიანს მის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მის-
თვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის
დასადგენად, სრული თანასწორობის საფუძველზე, უფლება აქვს, რომ
მისი საქმე საჯაროდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით
გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა,
უფლება აქვს უდანაშაულოდ ითვლებოდეს მანამ, სანამ მისი დანაშაულობა
დადგინდის არ იქნება კანონის შესაბამისად საჯარო სასამართლო
განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილი იქნება დაცვის
ყველა შესაძლებლობა.
2. არავის შეიძლება მსჯავრი დაელოს ისეთი მოქმედების ან უმოქმე-
დობისათვის რომელიც ჩადენის მომენტში არ წარმოადგენდა დანაშაულს
ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება,
აგრეთვე, იმაზე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე გამოყენებული
იქნებოდა დანაშაულის ჩადენის დროს.

მუხლი 12

არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და
ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის
ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი
პატივისა და ღირსებისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს
კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

მუხლი 13

1. ყოველ ადამიანს აქვს ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში დაუბრ-
კოვლად გადაადგილებისა და საცხოვრებლის თავისუფლად არჩევის
უფლება.
2. ყოველ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ
შორის საკუთარიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

მუხლი 14

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს ეთოს დევნისგან თავშესაფარი სხვა ქვეყნებში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.
2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი დევნის წინააღმდეგ, რომლის საფუძველს ნამდვილად წარმოადგენს არაპოლიტიკური დანაშაულის, ანდა ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.
2. არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან თავისი მოქალაქეობის შეცვლის უფლება.

მუხლი 16

1. ყოველ სრულწლოვან მამაკაცსა და ქალს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით შეუღლეების, ქორწინებაში ყოფნის და განქორწინების დროს.
2. ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.
3. ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 17

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს ფლობდეს ქონებას, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.
2. არავის უნდა ჩამოერთვას მისი ქონება თვითნებურად.

მუხლი 18

ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას საკუთარი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას საკუთარი რელიგიის თუ რწმენის

აღმსარებლობისა, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში, ღვთის მსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში, საჯარო თუ კერძო წესით.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს უფლება აქვს მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკელებლად მისდევდეს თავის მრწამსს და მოძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

მუხლი 20

1. ყოველ ადამიანს აქვს მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლების უფლება
2. არავინ შეიძლება აიძულოს შევიდეს რაიმე ასოციაციაში.

მუხლი 21

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.
2. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თანასწორ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის საჯარო სამსახურში.
3. სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველია ხალხის ნება; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარშინაშენი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება შეინარჩუნოს საკუთარი ღირსება

და თავისი პიროვნების თავისუფალი განვითარება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ეროვნული ძაღისხმევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად.

მუხლი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.
2. ყოველ ადამიანს აქვს თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურების უფლება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
3. ყოველ ადამიანს, რომელიც შრომობს, უფლება აქვს იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, აუცილებლობის შემთხვევაში ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.
4. ყოველ ადამიანს უფლება აქვს შექმნას პროფესიული კავშირები და თავისი ინტერესების დაცვადაც შევიდეს პროფესიულ კავშირებში.

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს დახვეწებისა და მოცალეობის უფლება სამუშაო დღის გონიერული შეზღუდვისა და პერიოდული ანაზღაურებული შევსებულების უფლების ჩათვლით.

მუხლი 25

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დეფობა და ჩვილი ყრმის ყოლა იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობისა და დანხარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

მუხლი 26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება უფასო უნდა იყოს სულ მცირე, დაწყებით და ზოგად დონეზე. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი – ერთნაირად ხელმისაწვდომი ყველასათვის მათი უნარის შესაბამისად.
2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გაძლიერებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხს, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემქნარებლობასა და მეგობრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.
3. მშობლებს აქვთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის განათლების არჩევის პრიორიტეტი.

მუხლი 27

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკებობდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს სამეცნიერო პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.
2. ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედგენილი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორიც ის არის.

მუხლი 28

1. ყოველ ადამიანს აქვს ისეთ სოციალური და საერთაშორისო წესრიგის უფლება, რომლის პირობებშიც შესაძლებელია ამ დეკლარაციით განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.
2. თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი მხოლოდ ისე შეიძლება შეიზღუდოს, როგორც ეს კანონითაა დადგენილი მართოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.
3. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არაერთარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30

ამ დეკლარაციაში არაფერი უნდა განიმართოს, როგორც რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პირებისათვის ისეთი უფლების მინიჭება, რომელიც მათი საქმიანობით ან მოქმედებით მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.

თავი II

ღირსება

80-იანი წლების შუახანებში ადამიანის უფლებები ყველაფერს ნიშნავდა. ვინაიდან, სინამდვილეში ჰელსინკის კონფერენციიდან და შეთანხმებებიდან ყოველდღიურებაში ერთი ცნება შეგოვიდა და იგულისხმებოდა, რომ ყველაფერი ცუდი, უსამართლო და მაცნე მოვლენა არღვევს ადამიანის უფლებებს.

პოლონეთში რამდენიმე წელი დაგვიტოვდა სანამ გავიგებდით, რომ ადამიანის უფლებები და დემოკრატია ერთი და იგივე არ არის, რომ ადამიანის უფლებები არ ნიშნავს თანასწორუფლებიანობას და ნამდვილად არ არის სამართლიანობა. მით უმეტეს ადამიანის უფლებები არ არის იგივე რაც თავისუფლება, თუმცა თავისუფლების ცნება ყველაზე ახლოს არის ადამიანის უფლებების ცნებასთან.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობები ყველგან ერთნაირად გამოიყურება. სწორედ აქ იბადებოდა თეორიები, რომელთა მიხედვითაც არსებობს ბურჟუაზიული და სოციალისტური ადამიანის უფლებები. სოციალისტური უფლებები გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ვაქვს დასვენების, შეგებულების, კულტურის სასახლეებში სიარულის უფლება და ძირითადი პოლიტიკური უფლებები, ისეთ პარტიებსა და პროფკავშირებში გაერთიანების უფლება, რომლებიც ჩვენ მოგეწონს, თავისუფალი არჩევნების უფლება და პირადი უფლებები, საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება (მაგ. მე მინდა ცხოვრება ამ ქალაქში და არა სხვაგან და ამას ვერაფერს დამიშლის), შეგებულების გატარების უფლება იქ, სადაც მინდა, პარიზსა თუ საბერძნეთში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ჩვენს ამ უფლებებს მუდმივად ხელყოფდნენ.

რევოლუცია ყოველთვის ყველა ადამიანის უფლებათა დასაცავად იწყება. რევოლუციის დასაწყისში ჩვენ ვიბრძვით ყოველი ჩვენგანის უფლების დასაცავად, ომის დროს კი ყველას უფლებათა დასაცავად. პოეტსაც კი სჯეკროდა, რომ „ერთეული უაზრობაა, ერთეული ნილია“. იქმნებოდა იდეოლოგია მართალი, კეთილშობილური საქმისათვის. სანამ ბრძოლა არ დამთავრებულა ჩვენს წარმოსახვას არ შეუძლია განსაზღვროს, იწინასწარმეტყველოს სანამდე მიგვიყვანს იგი. ბრძოლა ყველა

ადამიანის უფლებებისათვის ცალ-ცალკე და თითოეული ადამიანის უფლებებისათვის საპირისპირო მოვლენად იქცევა. როდესაც ბრძოლა მთავრდება ირკვევა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ პრივილეგიები მხოლოდ ბელადთათვის. რევოლუციური, იდეური ისტორიები ჩვენ გეპართმევენ ყველაფერს ღირსების გარდა.

ღირსება უნივერსალური ცნებაა. ეს არის ზეიდელგოიური, ზესახელ-მწიფორანივი, ზენაციონალური ცნება. ღირსება კაცობრიობის ფასუ-ლობათა ღერძია. როგორ ესმის გლეხს ღირსება? ვუქიპობ, სწორედ ისევე, როგორც ყველას. ერთადერთი განსხვავებაა. გლეხმა უნდა იცოდეს, ზოგჯერ კი ნამდვილად იცის, რომ ღირსება ღმერთის ნაბოძებია და მხოლოდ ამის გამოც იგი ვაღდებულა პატივი სცეს ადამიანის ღირსებას, როგორც საკუთარს, ისე სხვა ადამიანისას. თუ მე დამარტყეს – ეს ჩემი ღირსების შელახვაა, თუ მე გამლანდეს – ეს ჩემი ღირსების შელახვაა, თუ მე მომტყუეს – ესეც ჩემი ღირსების შელახვაა. ღირსება ეს რაღაც შინაგანი, არამატერიალურია ადამიანში, რომელიც მიისწრაფვის მეორე ადამიანისაკენ, მაგალითად ფიზიკური ან სულიერი სიყვარულისაკენ, მშვიდობისაკენ, კეთილი საქმეებისაკენ, აგრებისა და მტრობის გაერყე.

ადამიანის ღირსება, როგორც ყველა უფლებათა და თავისუფლებათა წყარო, ყოველთვის სწორად არ ესმით. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ არსებობს ღირსების ორი სახე: პირადი და ადამიანური. პირადი ღირსება კეთილშობილური საქციელით, კეთილი საქმეებით მიიღწევა და იკარგება თუ სულმდაბლად მოვიქცევით. ადამიანის ღირსების ცნება კი თვით კაცობრიობის არსთანაა დაკავშირებული. პოლონეთის პარლამენტის ანგარიშებს, უფრო სწორად, პოლონეთის კონსტიტუციის საკითხებისადმი მიძღვნილი დისკუსიის მასალებს თუ გადაცხადვით, აღმოვაჩენთ, რომ ერთ-ერთი მონაწილე სრული რწმენით ამბობდა: „დამნაშავეის ღირსება არ შეიძლება ნამდვილი ადამიანის ღირსებას გაუთანბრდეს“. ჩვენ მას ასე ვუპასუხებდით: ყველაფერი, რაც ძირითადი სამოქალაქო უფლებების და თავისუფლებების ჩამონათვალში შევიდა, ღირსებიდან გამომდინარეობს, რომელიც ყველას გააჩნია როგორც ადამიანს, მაგრამ როგორც ჩანს ღირსება ყველას ერთნაირად არ ესმის. ჩვენთვის ყველაზე ახლოს ღირსების ის გაგებაა, რომელიც მოცემულია 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, სადაც

წერია, რომ ყველა ადამიანი თანასწორია თავისი ღირსებით. იგი თან ახლავს ადამიანთა ოჯახის ყველა წევრს, ხოლო სახელსა და მდგომარეობას საზოგადოებაში თითოეული ადამიანი თავად მოიპოვებს.

არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ კომუნიზმი აშენდება უზარმაზარ საცხოვრებელ რაიონებს უზარმაზარი სახლებით, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობდით ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავებულ ბეტონის ორბოცეში. არის რაღაც სიმბოლური იმაშიც, რომ სიკვდილის შემდეგ კომუნიზმი ვაგვ ზავინდა სასაუფლოზე, სადაც ჩვენ ვიწვეთ ერთნაირ კუბებში, ერთნაირ საუფლებებში. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ადამიანის ღირსება სწორედ იმასთან არის ძალიან მჭიდროდ დაკავშირებული, რომ ყოველი ჩვენგანი განუყოფრებულია, რომ მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არ ყოფილა და არც იქნება ზუსტად იგივე ადამიანი, ისეთივე აზრებით და ისეთივე გამოსცდილებით. ტოტალიტარიზმ სისტემას კი ამის განადგურება სურს.

ერთ-ერთ სემინარზე იკითხეს: როდის გრძნობთ თქვენი ღირსების განსაკუთრებით ძლიერ შელახვას? თუკი ღირსება უფლებებისა და თავისუფლებების საფუძველია, მართლაც ღირს დაფიქრება როდის ილახება იგი. ჩვენც დაფიქრდით, ჩავეჩრეთ პასუხები და აღმოჩნდა, რომ ისინი თითქმის ერთნაირია, ანუ, ჩვენი დირსება განსაკუთრებით ილახება მაშინ, როდესაც ჩვენ მივმართავთ სახელმწიფო დაწესებულებებს, სადაც შევება გვაქვს ჩინოფიციების უხეშობასთან, სადაც ყველაზე დაბად საფეხურზე მდგომი მოსამსახურეც ხაზს უსვამს, რომ ჩვენ მის განკარგულებაში ვართ, რომ ჩვენ არაფერს წარმოვადგენთ, იგი კი სახელმწიფოს წარმომადგენელია.

ასეთ სახელმწიფოში მოქალაქენი დაუცველნი არიან. მათ შეუძლიათ მოითხოვონ საკუთარი უფლებების დაკმაყოფილება, განაცხადონ ეს უფლებები. უფლებების გაცხადება ეს არის ამა თუ იმ მოთხოვნის წამოყენება. მაგალითად, მე ერთსაათიან ლექციაში შეკუთვინის 20 ათასი ზლოტი. მე მას არ ვითხოვ, არ ვინებწვიბი, არამედ ვაცხადებ უფლებას. სამსახურის მომცემი ვაღდებულაა გადამიხადოს სწორედ იმდენი, რამდენიც მე შეკუთვინის უფლების გაცხადების არსი ხშირად დადის ერთადერთ, ამ თავის მხრივ მოუხელთებელ ასპექტთან, ასევე მოუხელთებელი ადამიანის ღირსებისა. ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია

უფლების განცხადება გარკვეულწილად მოკლებულია ღირსებას. ადამიანი, რომელიც აცხადებს უფლებას, ადამიანი, რომელიც არ იხვეწება გაწვდილი ხელით – მომეტებით, არამედ აცხადებს თავის უფლებას – ეს მე მეკუთვინის – ღირსეულად იტყვება. ვფიქრობ, რომ ყველა იმ საკანონმდებლო და პოლიტიკური სისტემების არსი, რომლებიც კონსტიტუციური უფლებების გაზარტიას იბღვეიან, მაგრამ არ გეოწმებენ უფლებების გაცხადების მექანიზმებსა და შესაძლებლობებს ამ უფლებების განხორციელების მოთხოვნით არის იმაში, რომ ისინი გვართმევენ ადამიანური ღირსების გამოვლენის შესაძლებლობას. ამავდროულად გვიბიძგებენ არაღირსეული საქციელისაკენ, რომელიც არღვევს როგორც ჩვენს საკუთარ, აგრეთვე სხვათა ღირსებას. ფაქტია, რომ ღირსების ცნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში გამოტანილი უმაღლესი ფასეულობაა. ფაქტია, რომ ღირსება განიხილება, როგორც საფუძველი ადამიანის უფლებების შესახებ არსებული ორივე პაქტის პრეამბულაში ჩამოთვლილი ყველა უფლებისა. გაკვირვებას იწვევს ის, რომ უფლებებისა და თავისუფლებების აღმნიშვნელი ყველა სიტყვა, რომელიც დაფუძნებულია სიტყვა ღირსებაზე, რომლებიც შემდგომ ხსნიან თავისუფლებასა და თანასწორობას, ამის შემდეგ კი თავისუფლებისა და თანასწორობისაგან გამოიყვანება ყველა სხვა უფლება და თავისუფლება, თუმც არ არიან ზუსტად ერთნაირნი, მაგრამ მათ შორის დიდი მსგავსებაა. კომუნისტური კონსტიტუციები შეიცავენ კონტექსტიდან ამოღევი რამდენიმე უფლებასა და თავისუფლებას და როგორც წესი ისინიც იზღუდებოდა. სსრკ-ს კონსტიტუცია აღიარებდა სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, დემონსტრაციების თავისუფლებას კომუნისმის მშენებლობის ინტერესებიდან გამომდინარე. მხოლოდ ამ მიზნის გათვალისწინებით შეიძლება ამ უფლებებით სარგებლობა.

ორახი წლის წინ თავისი სახელმწიფოს დაარსებისას ამერიკელებმა აღიარეს დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრეამბულაში: ჩვენ გვესმის როგორც თავისთავადი ჭეშმარიტება, რომ ყველა ადამიანი არის თანასწორი და დაჯილდოებულია ღმერთის მიერ ხელშეუხებელი უფლებებით. ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად ხალხი აყალიბებს მთავრობას, რომლის კანონიერი ძალაუფლებაც გამომდინარეობს მართულთა თანხმობიდან. თუკი როდესმე ესა თუ ის მმართველობის ფორმა საშიში აღმოჩნდება

ამ მიზნებისათვის ხალხს უფლება აქვს დაამხოს ხელისუფლება და შექმნას ახალი, რომელიც საფუძვლად ისეთ პრინციპებს აიღებს და ისე მოახდენს საკუთარი ხელისუფლების ორგანიზებას, როგორსაც ხალხი მიიჩნევს უფრო ხელსაყრელად და სასარგებლოდ უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

საპარლამენტო დემოკრატიის ცნება არ ნიშნავს უმრავლესობის შეუზღუდავ ძალაუფლებას. ასეთი ძალაუფლება ბარბაროსული იქნებოდა. პარლამენტის წევრებს არ შეუძლიათ ხელის აწკეით მიიღონ ნებისმიერი კანონი, მაგალითად ბოშების განდევნის, მიწების, ან უცხოური მარკის ატორმანქანების ჩამორთმევის შესახებ. უმრავლესობის ძალაუფლება, რასაც წარმოადგენს პარლამენტი, შეზღუდულია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით. ამით ადამიანის უფლებები და თავისუფლებები უმრავლესობის ძალაუფლების საზღვრებს აწესებენ.

თანასწორობა

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საეკიბით ბუნებრივი და ცხადია, რომ ყველანი შექმნილნი ვართ თანასწორნი. თანასწორობა არ ყოფილა მთელი ისტორიის მანძილზე, მაგრამ ყველა ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობის იდეა სანქცირებული უთანასწორობის დამამხობელ ბურჟუაზიულ რევოლუციებამდე დიდი ხნით ადრე აღმოცენდა. ხომ არ ღარჩა თანასწორობა მხოლოდ სურვილად? თანასწორობა ყველა რევოლუციის ღიბუნებაა. ეს ღიბუნები მთელი ხნით ეღერს რევოლუციამდე რევოლუციის შემდეგ მას ღალატობენ, მისგან ღალაუხევენ. პრობლემა ტრაგიკულია, ვინაიდან ადამიანს ახასიათებს მისწრაფება თანასწორობისაკენ, მას აქვს სურვილი იყოს თანასწორი სხვა ადამიანისა და ძლიერ არ განსხვავდებოდეს სხვისგან. ჩვენ გვეშინია გამოჟინდეთ სხვაზე მაღალი, განსხვავებული სხვა ადამიანისგან. ამავდროულად ყველა ადამიანის სურვილია დატოვოს საკუთარი კვალი, რაღაც ძალიან პირადულად...

ამბობენ თანასწორობა მგობრობას უწყობსო ხელს. მართალს ამბობენ, მაგრამ ჩვენ არც თუ ისე კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული როგორ მოვიპოვოთ თანასწორობა. ამიტომ ყველაფერი ძალზე რთული და ბუნღოვანია....

ყველა ღაპარაკობს თანასწორობაზე, პირველ რიგში პოლიტიკოსები. რა აქვთ მათ მხედველობაში?

პოლიტიკოსები ხშირად წარმოთქვამენ სიტყვა თანასწორობისა და როგღაც გაგონებთ ამ სიტყვას, საჭიროა ინახოს რომელი პარტიის ბილეთი უღვეს ამ პოლიტიკოსს გუღის ჯიბეში. კომუნისტისათვის თანასწორობა ნიშნავდა, რომ ჩვენ ყვეღას ერთნაირი კუჭები გექონდა და მისსწრაფოდა იქითკენ, რომ ყვეღას გექონოდა ერთნაირი საარსებო პირობები. სოციაღისტისათვის თანასწორობა არის თანაბარი შანსი ყვეღასათვის. ცხოვრებას ყვეღა ერთნაირი სასტარტო პირობებით უნდა იწყებდეს. არ უნდა ღაგვათწყვეღს, რომ მსაკუნის ღასაწყისში ამ იდეამ მიგვიყვანა შემკვიდრების უღღების უარყოფამდე. სოციაღისტის აზრით თუ მამაჩემი იყო მღიღარი და ვინმე სხვა კი ღარიბის ოჯახში ღაიბადა ეს ხაზს ღაღაუსევამს თანასწორობას.

როცა თანასწორობაზე ღაპარაკობს ღიბერალი მას მხედველობაში

აქვს სრულიად სხვა რამ, კერძოდ კი ის, რომ კანონები ერთნაირი უნდა იყოს ყვეღასათვის, რომ კანონს არ შეუღლია ხაღხის ღაუსაბუთებელი ღიბერენციერება. მეორეც, ღიბერალი, თღღის რომ ყვეღას თანაბარი შანსი უნდა ჰქონდეს კანონის წინაშე.

ყოვეღთვის არსებობდა რწმენა, რომ ადამიანები ღმერთის წინაშე თანასწორნი არიან. მაშ რას ნიშნავს თანასწორობა მორწმუნეთათვის? ქრისტიანისათვის ამ ცნების საუღველია რწმენა, რომ ჩვენ ერთი ღმერთის უღღები ვართ. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშენღოვანია. ჩვენ ყვეღანი განსხვავებული ვართ, მაგრამ სწორედ ამიტომ ვართ თანასწორნი და ამიტომ უყვარს ღმერთს თითოეული ჩვენგანი.

თანასწორობა, როგორც პოღიტიკური მოთხოვნა მე-18 საუკუნის ბოღღს განღდა. ამერიკის ვირჯინიის შტატის უღღებათა ქარტია აცხადებდა, რომ ყვეღა ხაღხი თავისი ბუნებით ყვეღს თანასწორ თავისუფლებებს, ღამოუკიდებლობის უღღებას და რიც თანღაყოღიღ უღღებებს. საფრანგეთში მიღებულმა 1793 წღღის კონსტიტუციამ გამოაცხადა, რომ ხეღის უღღება ყალიბებღა იმისათვის, რომ ადამიანს შეეღღოს ისარგებღოს საკუთარი ბუნებრივი და განუყოფელი უღღებებით — თანასწორებით, თავისუფლებით, უსაფრთხოებით და საკუთრებით უღღებით. 120 წღღის შემდეგ ბოღშეეკურმა რევოლუციამ აღიარა მუშებისა და გღღების უპირატესობა და საყოვეღღთაო თანასწორობის ნაცვღად შემოიღო პროღელტარიატის ღიქტატურა. ასეთი იყო ვითარება ცენტრღღურ ევროპაში 70 წღღის მანძილზე, მაგრამ პრატკიკულად პროღელტარიატის ღიქტატურა პარტიული ნიშენკლატურის ღიქტატურად გაღიქცა.

თანასწორობა — ეს არის მღღომარეობა, უპირვეღებს კი ფსიქიკური მღღომარეობა ადამიანისა, რომეღიც გრძნობს რომ ის არ არის სხვაზე უარესი, ღაბღა მღღომი, რომ თავისი მღღომარეობით იგი ღიღად არ ნამორჩება სხვეღს. მეორეც, ეს არის უფრო იშვიათი ფსიქიკური მღღომარეობა ადამიანისა, რომეღიც თღღის რომ ის არ უნდა აღმატებოდეს ღა არცა აქვს სურვილი აღმეტებოდეს სხვა ადამიანებს. თანასწორობა მოთხოვნიღებაა ღა არა რეღლობა. ამბობენ, რომ თანასწორობა ის მღღომარეობაა, რომღისკენაც ჩვენ მივისწრაფით. ჩვენ უნდა გღახსოვდეს, რომ სრული თანასწორობა არასოდეს არსებულა და შეიღღება არც არასდროს იარსებოს. როგორც ემპირიული გამოცდიღება გვიჩვენებს,

ბუნებაში არ არსებობს თანასწორობა. ე. ი. ბიოლოგიურად იგი არ არის გამართლებული, არ არის მიზანშეწონილი.

თანასწორობაზე ასევე შეიძლება ვიფიქროთ: მაგალითად თუ კონსტრუქციაში ლაპარაკია ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე, ე. ი. ეს ასევე არის. ჩვენ მიჩვეულნი ვართ ასეთ აზროვნებას. ჩვენ მიჩვეულნი ვართ თანასწორობის ძლიერ ფორმალურ გაგებას. თუ კანონებში არ არის მკაფიო დისკრიმინაცია გვგონია, რომ ჩვენ გვაქვს თანასწორობა, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის?

შეიძლება თუ არა კანონი ერთნაირად ეხებოდეს ბავშვსაც, მოზრდილსაც, კაცსაც და ქალსაც?

პოსტკომუნისტური ქვეყნებში კანონებში ჯერაც შეიმჩნევა დაუსაბუთებელი დიფერენციაცია ხალხისა. ეს შეეხება სხვადასხვა პროფესიების განსხვავებულ მისაწვდომობას. მე არა ვარ მომხრე რომ ქალები მუშაობდნენ მაღარობაში, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ უნდა ჰქონდეთ არჩევნის შესაძლებლობა. ჰქონდეთ უფლება თვითონ გადაწყვიტონ, სურთ ეს სამუშაო თუ არა.

ადამიანის უფლებათა შესახებ არსებულ დოკუმენტებში სხვა გაგება თანასწორობისა. მათში იგულისხმება ნამდვილი თანასწორობა, თანასწორობა ცხოვრებაში, პრაქტიკაში და არა ისე როგორც პოლიონთში, სადაც კანონებში არ არის ქალების დისკრიმინაცია, მაგრამ პრაქტიკულად ეს ასეა. მაგალითად, თუ ახლანდელ გაზეთებში გამოქვეყნებულ განცხადებებს გადავთვალიერებთ, ვნახავთ, რომ განცხადებების ნახევარზე მეტში სამუშაოდ მამაკაცებს ეპატივებიან, და არა იმიტომ, რომ ეს დაკავშირებულია სამუშაო პრობლებთან. ამ შემთხვევაშიც ჩვენ საქმე გვაქვს დისკრიმინაციასთან, თუმცა იგი არ არის განმტკიცებული კანონით. თუ შევაჯამებთ ზემოთ თქმულს, მივხვდებით რომ ჩვენ მიჩვეულნი ვართ თანასწორობის დეფორმულ გაგებას, ჩვენთვის თანასწორობა არის დისკრიმინაციის არარსებობა კანონებში.

დემოკრატიულ საზოგადოებაში თანასწორობა ნიშნავს - თანასწორობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ საკანონმდებლო აქტში ჩაწერილია პოლიონული, ბელორუსი, რუსი, ბოშა, ებრაელი - სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ეს საკანონმდებლო აქტი ახდენს ხალხის დისკრიმინაციას. რა თქმა უნდა ხალხი განირჩევა ერთმანეთისაგან.

არიან მათ შორის ნიჭიერი, უნიჭონი, მდიდრები და ღარიბები, მაღლები და დაბლები. არიან მათ შორის პოლიონელები, უკრინელები, ებრაელები და რა თქმა უნდა ყოველ ჩვენგანს აქვს რაღაც თავისებურებანი, რომლითაც ჩვენ განვსხვავდებით ერთმანეთისაგან და ხდება ისე, რომ საკანონმდებლო აქტები ადამიანის რაიმე თავისებურებაზე ამახვილებენ ყურადღებას. მაგალითად: უსინათლოთათვის მართვის უფლების გაცემაზე უარის თქმა არ არის დისკრიმინაცია. ამიტომ, შეიძლება ითქვას - უფლებათა თანასწორობა ნიშნავს ადამიანების დაუსაბუთებელი დიფერენციაციის აკრძალვას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ნათქვამია: ყოველი ადამიანი უნდა ფლობდეს ყველა უფლებებს და თავისუფლებებს ყოველგვარი განსხვავების გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, პოლიტიკური მრწავლის მიუხედავად. თუკი არ შეიძლება ხალხის უფლებრივი მდგომარეობის დიფერენცირება ერთნების, პოლიტიკური მრწავლის, სოციალური წარმოშობის მიხედვით სახელმწიფოს არა აქვს უფლება გვეკითხოს მათ შესახებ. ეს მონაცემები მას არაფერს შემატებს. კომუნისტური სახელმწიფო ახდენდა ჩვენს უფლებების დიფერენცირებას. თუმცა, ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ახლაც არსებობს უფლებრივი და პრაქტიკული დისკრიმინაცია. გაეროს კონვენციაზე დაყრდნობით საკუთარ ქვეყანაში შევიწროებულმა ადამიანებმა შეიძლება თხოვონ მიმართონ საზღვარგარეთის დტოლეულის სტატუსის მისაღებად.

თანასწორნი ვართ ჩვენ კანონის წინაშე?

ასეთი თანასწორობის მიღწევა გაცილებით რთულია.

როდესაც სასამართლოში მდიდარი ადამიანი მოხვდება ის საუკეთესო ადვოკატებს მიმართავს და მას უფრო მეტი ადვოკატი ეყოლება, ვიდრე ღარიბს. ბევრი ქვეყნის მცდელობა - გაათანაბროს ადამიანთა მდგომარეობა სასამართლოებში - უფრო პროტესტია, რომელიც ამ განსხვავების გარკვეულ ნიველირებას ახდენს, მაგრამ მათი მთლიანი აღმოფხვრა ვერსად მოახერხებს.

თუმცა ეს არც თუ მთლად უტოპიაა.

კანონის წინაშე თანასწორობა ორ რამეს ნიშნავს: პირველი: მე მაქვს თანაბარი უფლებები იდეცვა. ე. ი. არავის არავითარი პრივილეგია არა აქვს. კანონი ისევე ეხება მე, როგორც სხვა მოქალაქებს, პრეზიდენტს,

პრემიერს, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და დაწესებულებებს. და უკვე აქ ფლინდება ილუზორულობა იმისა, რაც მე ვთქვი. მიუღს ნემს ქვეყანაში და მთელი ისტორიის მანძილზე პოლონელი ვერასდროს გარძობდა თანასწორობას კანონის წინაშე. ვერ გრძობდა, რომ მას და სახელმწიფოს, სახელმწიფო დაწესებულებას, ან თანამდებობის პირს კანონი თანაბრად ეხებოდა. ამ უკანასკნელთა მიმართ, როგორც წესი, კანონი უფრო კეთილმოსურნე იყო. კანონის წინაშე თანასწორობის ცნების მეორე მხარეც არსებობს. ეს არის თანასწორობა კანონშემოქმედებაში, რომელშიც ყველა თანაბარი ხარისხით მონაწილეობს. პრინციპში ეს უკვე დემოკრატიაა, დემოკრატია, როგორც თანასწორობის შემადგენელი ნაწილი, რადგან დემოკრატია გულისხმობს, რომ ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება იმ კანონის შექმნაში, რომელიც უშუალოდ მას შეეხება.

საპარლამენტო დემოკრატის ცნება არ ნიშნავს უმრავლესობის შეუზღუდავ ძალაუფლებას. ასეთი ძალაუფლება ბარბაროსული იქნებოდა. პარლამენტის წევრებს არ შეუძლიათ ხელის აწვეით მიიღონ ნებისმიერი კანონი, მაგალითად ბოშების განდევნის, მიწების, ან უცხოური მარკის ავტომატური ნაპროექტის ჩამორთმევის შესახებ. უმრავლესობის ძალაუფლება, რასაც წარმოადგენს პარლამენტი, შეზღუდულია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით. ამით ადამიანის უფლებები და თავისუფლებები უმრავლესობის ძალაუფლების საზღვრებს აწესებენ.

მხოლოდ რობინზონ კრუზოს ჰქონდა საკუთარი უფლებების და თავისუფლების გამოყენების შესაძლებლობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე და ისიც მხოლოდ პარასკევს გამოიწინამდე. ადამიანი ცხოვრობს ადამიანთა საზოგადოებაში. ყოველი ადამიანის უფლებების განხორციელების საზღვარი სხვა ადამიანთა უფლებებია და თავისუფლებებია. მთელი ისტორიის მანძილზე თავისუფლება არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთელ ხალხსა და რასებს ერთმოდით. მონობის კანონის გაუქმება მხოლოდ XX საუკუნეში მოხდა, მაგრამ ხალხი ყოველთვის ოცნებობდა თავისუფლებაზე. რელიგიები და ფილოსოფიური თეორიები განიხილავდნენ ნების თავისუფლების მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას კაცობრიობის მიერ გაკეთებულ არჩევანზე პრინციპით: ნუ გაუკეთებ სხვის იმას, რასაც საკუთარ თავს არ უსურვებ. მაგრამ თავისუფლება თავის თავში უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე უარის თქმას საკუთარ უფლებებზე სხვებისათვის, მეგობრობისა თუ სიყვარულისათვის.

არც ერთი ადამიანური უფლებათაგანი, თუ შეიძლება ვინმარით ასეთი გამოთქმა, არ არის აბსოლუტური უფლება, ყოველთვის გათავალისწინებულია, რომ სახელმწიფოს შეუძლია თავისუფლების შეზღუდვა იმ ღირებულებათა დასაცავად, რომელთაც განსაკუთრებით ვუფრთხილდებით, მაგრამ ეს ყოველთვის კანონის საფუძველზე უნდა ხდებოდეს, კონტროლის ქვეშ. ყოველი კონკრეტული შემთხვევა უნდა ასახავდეს არსებულ ვითარებას და კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ — მიღებულია რომ შეზღუდვები უნდა შეესაბამებოდეს იმას, რაც ეკადრება დემოკრატიულ სახელმწიფოს.

თავისუფლებაა, როდესაც მე არ მიპოულებენ რაიმეს კეთებას, როცა მრავლობითი აკრძალვები არ არის, მაგრამ იშვიათად ხდება როდესაც ადამიანს სრული თავისუფლება აქვს და შეუძლია ყველაფრის კეთება, როცა თავში მოუვა. არის აკრძალვები მაგ. სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა საკანონმდებლო ნორმებში. მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში სამართლებრივი ნორმები კი არ გამართავენ და მიეცითთებენ, არამედ მოქმედებს მხოლოდ აკრძალვების სისტემა. ჩვენ დამონებულ საზოგადოებაში ცვხოვრობდით, ჩვენ მუდმივად გამართა-

დენე, გეხელმძღვანელობდნენ. იყო ბრძანება, რომ გვეყვოლო ნათელი სოციალისტური საზოგადოებისაკენ მიმავალი გზით და სხვა გზით წასვლა არ შეიძლებოდა.

ყველა კომუნისტურ კონსტიტუციაში მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები იმავე ნაწილში ან განყოფილებაშია მოთავსებული, სადაც მოვალეობანი. ეს მიგვანიშნებს, რომ თუ ადამიანი თავის მოვალეობებს შეასრულებს, მაშინ მე, მმართველი, მის თავისუფლებებს დავიცავ.

ეს ასე არ არის. უფლებები და თავისუფლებები იმიტომ მაქვს, რომ მე ადამიანი ვარ. ისინი ჩემი ადამიანური არსიდან გამომდინარეობს და რა თქმა უნდა მე მაქვს მოვალეობები ჩემი სახელმწიფოს წინაშე. თუკი მე მათ არ შევასრულებ ჩემი სახელმწიფო ვერ იფუნქციონირებს. თუკი მე ჩემს მოვალეობებს არ შევასრულებ სახელმწიფოს შეუძლია ჩემი დასჯა, მაგრამ ყველაფერი ეს სრულიად არ არის დაკავშირებული ჩემს უფლებებსა და თავისუფლებებთან. მე უფლებები და თავისუფლებები იმიტომ მაქვს, რომ მე ადამიანი ვარ, მოვალეობები კი მე უნდა შევასრულო, რადგან მოქალაქე ვარ. როდესაც უფლებები და მოვალეობები ერთ განყოფილებაშია მოცემული შთაბეჭდილება იქმნება, რომ უფლებები დამოკიდებულია მოვალეობებზე.

ბავშვობიდან ჩვენ მუდმივად გვაქვს შეხება დაწესებულებებთან, სახელმწიფო მოხელეებთან, მასწავლებლებთან, ექიმებთან - სახელმწიფო საავადმყოფოებში, ჩინოფინკებთან, რომელთა ნებაზეა დამოკიდებული მომცემენ თუ არა ბინის ორდერს, ჩამირთავენ თუ არა ტელეფონს და როგორ მოგვემსახურობინ, როდესაც მივიღებთ გადასახადების გადასახდელებს, და რაღა თქმა უნდა ექსტრემალურ შემთხვევებში, როდესაც ხელისუფალნი ეჭვობენ, რომ ჩვენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ჩავდივართ, როდესაც ჩაერთვება პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო... და საათები, გაუთავებელი საათები დაწესებულებების დურფებში, ჩვენი ღირსების დამორგუნველი საათები, ჩვენი ინდივიდუალურობის გამანადგურებელი საათები. ჩვენთვის ყველასათვის დამახასიათებელი საკუთარი ღირსების შეგრძნების გამანადგურებელი საათები...

იატაკვეშეთში წასვლას ხალხს შეიარაღებული ბრძოლისათვის მზადება და სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლა აიძულებდა. სიტყვის

თავისუფლება უპირველესია ყველა თავისუფლებათაგან, არა მარტო როგორც თავისთავადი ღირებულება, არამედ როგორც სხვა თავისუფლებებისა და უფლებების გარანტი. თუკი მსოფლიოს რომელიმე წერტილიდან ინფორმაციის მოწოდება აღარ ხდება, თუკი ჟურნალისტები სდუმან ან პიიტი, ყოველნაირი ინფორმაცია ოპტიმისტური და სასიხარულოა, შეიძლება სრული დარწმუნებით ითქვას რომ აქ სერიოზულად ირღვევა ცალკეული პიროვნებების უფლებები და თავისუფლებები.

ხელისუფლებას რომ შეეძლოს მითითება თუ სად და როდის უნდა გამოხატოს ხალხმა თავისი მრწამსი, მაშინ ხელისუფალთათვის უხერხული დემონსტრაციების უმეტესი ნაწილი ტყეში ჩატარდებოდა - ხეების გარემოცვაში. რწმენის საჯაროდ გამოხატვის უფლება ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური უფლებაა და სახელმწიფოებ უნდა დაიცვას იგი. ჩვენ შეიძლება გვაწუხებდეს, გვაშფოთებდეს ვინმეს შეხედულებანი, მაგრამ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს დემონსტრანტთა უსაფრთხოება, შეუქმნას მათ ყველა პირობა თავისი შეხედულებების გამოსახატად.

მაგრამ არის ზოგიერთი შეხედულება. როცა ვინმე მოუწოდებს ძალადობისაკენ, ის არღვევს ნებადართულ საზღვრებს და მაშინ მთავრობას აქვს ჩარევის უფლება.

საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება შესაძლებლობას გვაძლევს გავაკრიტიკოთ პოლიტიკოსები და სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტიტუტები. მაგ. მთავრობა, პარლამენტის წევრები. პოლიტიკოსები კი არ უნდა განაწყნდნენ, როდესაც მათ ყველრიან არაკომპეტენტურობას ან იმას, რომ ისინი თავს სასაცილოდ წარმოაჩენენ.

განსაკუთრებული დაცვის ქვეშ სახელმწიფოს მხოლოდ ერთი ინსტიტუტი იმყოფება. ეს არის სასამართლო. სახელმწიფო, სადაც მასხრად იგდებენ სასამართლოს ვერ მთავრდება საკუთარი მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტურ დაცვას. თუ მე მიმანია, რომ რომელიმე საკანონმდებლო ნორმა არასწორია, არ არის მორალური, მე შემიძლია სახალხოდ დავარდუო ეს ნორმა. ასე იქცეოდა მარტინ ლუთერ კინგი, ასე იქცეოდა განდი ინდოეთში. ისინი არღვევდნენ კანონებს, მაგრამ ვინაიდან ისინი აიგივებდნენ საკუთარ თავს სახელმწიფოსთან, კი არ ემალებოდნენ სასამართლოს, არამედ ცხადდებოდნენ სასამართ-

ლოში და ისმენდნენ მათთვის გამოტანილ განაჩენს. კანონის პატივისცემა ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა იმ ადამიანისა, რომელიც საკუთარ თავს აიგივებს სახელმწიფოსთან, რომელშიც ის ცხოვრობს.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა თანამედროვე კონცეფცია XVIII საუკუნის ბოლოს წარმოიშვა ამერიკისა და ევროპაში. დასავლეთისაკენ მიმავალი ამერიკელი ახალმოსახლნი იკავებდნენ ახალ მიწებსა და ტერიტორიებს და იწყობდნენ საკუთარ ცხოვრებას. სახელმწიფო სთავაზობდა მათ ამ ტერიტორიების მხოლოდ შინაგან და გარეგან დაცვას. ადამიანთა ცხოვრებაში ნებისმიერი სხვა სახის ჩარევა დაარღვევდა მათ თავისუფლებას. ასე აღმოცენდა სახელმწიფოსაგან თავისუფლების კონცეფცია.

ევროპა სხვა კონცეფციას მისდევდა. აქ არ იყო იმდენი მიწა, რომ ყოველ ადამიანს შესძლებოდა დამოუკიდებლად მოეწყო საკუთარი ცხოვრება. ადამიანები ადგილობრივ მიწათმფლობელებს ეპორჩილებოდნენ და მათი თვითნებობის წინააღმდეგ სამართლის საძებნელად მიმართავდნენ სახელმწიფოს, როგორც პოტენციურ დამცველს. ასე აღმოცენდა კონცეფცია – თავისუფლება სახელმწიფოს მეშვეობით, რომელიც ფორმულირებულია ადამიანის და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა ფრანგულ დეკლარაციაში.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს აქვს ბედნიერების უფლება, ხოლო სახელმწიფოს მოვალეობაა ამ უფლებების განხორციელება. ჩვენც ამ კონცეფციის ფარგლებში ვართ. ჩვენთანაც ხდება დიდი რვეოლუცია, რომელიც სწორედ ამ საკითხებს ეხება. დროა უარყოფით შეხედულება, რომ სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ჩვენთვის ბედნიერი ცხოვრების პირობები, დროა გადავიდეთ იმ კონცეპციაზე, რომლის მიხედვითაც ყოველმა ადამიანმა საკუთარი კეთილდღეობა საკუთარი ხელებით, საკუთარი შრომით უნდა მოიპოვოს, სახელმწიფო კი მხოლოდ უნდა იცავდეს კეთილდღეობის მოსაპოვებლად მიმავალთ და ზრუნავდეს თამაშის წესების დაცვაზე. სწორედ ამაშია ძირითადი განსხვავება თავისუფლების ორ კონცეპციას შორის და ამ განსხვავების გამო აქცენტის გადატანა ხდება ადამიანის უფლებების სხვადასხვა სახეებზე. ამერიკული კონცეპცია ეფრდნობა პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, მაშინ როდესაც ევროპული კონცეპცია ე.წ.

კონომიკურ და სოციალურ უფლებებს. თავისუფლება იყო წარწერილი ყველა რვეოლუციის დროშაზე. თავისუფლებაზე საუბრობს ყველა ჯურის პოლიტიკოსი, მაგრამ თავისუფლება რთული რამაა. ჩვენ მონობაში გავიზარდეთ. თავისუფლება ეს არის ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში სახელმწიფოს ჩარევის აკრძალვა. თუ სახელმწიფო ვერ ჩაერგვა ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში, მაშინ მას ჩვენთვის არც ვნების მოყენება შეუძლია, არც დახმარება და ჩვენ მთელს რისკს საკუთარ თავზე ვიდებთ. ჩვენ მოვიგებთ ან წავეგებთ, მაგრამ ჩვენს ნაცვლად არავინ თიამაშებს. თავისუფლება რთული რამაა, რთული მათთვის ვინც არ არის მიჩვეული თავისუფლებას. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ადაპტირება, ჩვენ უნდა ვისწავლოთ თავისუფლება.

ხელისუფლების საზღვრები

ყოველთვის, მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა ხელისუფლება და არსებობდნენ ხელისუფალნი. ჩვეულებრივ ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ვერდნობოდა რეალიზაციას. ნაწარმოების ოცდამეცამეტე თავში, რომელიც რომაელ ხელისუფალთა ეპიკურეოსა და ტერტულიანე წერდა: იმპერატორს უნდა ვცეთ პატივი, როგორც ღმერთის რჩეულს და ჰემპარტიდა შემიძლია გითხრაო, რომ იმპერატორი ჩვენი, ვინაიდან იგი ჩვენი ღმერთის გამოგზავნილია”.

ხელისუფლების ზეციური წარმომავლობის ტრადიცია უპირველეს ყოვლისა თვით ხელისუფალთა ცნობიერებაში ჩაინერგა, რომლებიც არც ისე დიდი ხალხისთი იღებდნენ ცნობად იმას, რომ ისინი ხალხის მსახურნი და არა მისი ხელისუფალნი არიან.

პრუიდეტის, პარლამენტის და მთავრობის სახელით ხელისუფლებას ახორციელებენ სახელმწიფო ფუნქციონერები, ჩინოვნიკები, მისამართლები, პოლიცია ციხეებითა და არმიით, რომლებიც აღჭურვილნი არიან ძალადობის ძველამოსილი იარაღებით. მათი ძალაუფლება ზღუდავენ თითოეული ჩვენგანის უფლებებსა და თავისუფლებებს, რის გამოც, კაცობრიობამ გამოანახა მთელი რიგი ინსტრუმენტებისა და საშუალებებისა, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს შიგნით, მის სამართლებრივ სისტემაში და ფუნქტურად ზღუდავენ თანამდებობის პირთა ძალაუფლებას. ამასთანავე, რეალურ შესაძლებლობას გვაძლევენ ჩვენი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

მსოფლიოში პიროვნებისა და ხელისუფლების ურთიერთობის სამი მოდელი არსებობს. კომუნისტური კონსტიტუციებისათვის დამახასიათებელ მოდელში პირველ ადგილზე ხელისუფლება დგას, რომელიც აძლევს მოქალაქეებს ამა თუ იმ უფლებებსა და თავისუფლებებს.

XVIII-ის ბოლოს ევროპაში წარმოიშვა პარტნიორული მოდელი. ცალკეული პიროვნებები და ხელისუფლება დებენ კონტრაქტს, რომლის თანახმადაც ხელისუფალნი იღებენ ვალდებულებას დაიცვან მოქალაქეთა უფლებები.

ამერიკული მოდელის მიხედვით პირველ ადგილზე საკუთარი დაბადებითი უფლებებითა და თავისუფლებებით აღჭურვილი ადამიანი დგას,

ხოლო ხელისუფლება, რომელიც ამ ადამიანებმა შექმნეს მთგან იღებს სწორედ იმდენ უფლებამოსილებას, რამდენსაც ადამიანები აძლევენ მათ საკუთარი უფლებებიდან გარკვეული სამსახურისათვის.

ეს საკითხი სულაც არ არის მხოლოდ თეორიული.

ერთი და იგივე სამართლებრივ ნორმას ახსნილს ამ სამი მოდელიდან თითოეულის ფარგლებში სრულიად განსხვავებულ შედეგებამდე მიყვანათ – სასამართლოს სხვადასხვა განაჩენთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ სინამდვილესთან. პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ეს ფილოსოფია, როგორც წესი, მოცემულია კონსტიტუციებში.

კონსტიტუცია სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ფუნდამენტია, რომელიც განსაზღვრავს ვის და რა თანამდევრობით შეუძლია გადაწყვეტილების მიღება. კონსტიტუცია ამბობს ვინ მართავს და რა ძალაუფლებაა ფლობს მმართველი, არკვევს ურთიერთობებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის. კარგად მოფიქრებული კონსტიტუციის წყალობით ხელისუფლების ეს სამი შტო აკონტროლებს და აწონასწორებს ერთმანეთს. კონსტიტუცია აცხადებს თუ რომელი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტია სახელმწიფო. ის გვე განსაზღვრავს მოქალაქის მოვალეობებს, რომლის არშესრულების შემთხვევაში სახელმწიფო ვერ იარსებებს. კონსტიტუცია, როგორც საზოგადოებრივი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს სხვადასხვა დონეზე. მოქალაქეებმა შეიძლება მოილაპარაკონ, რომ გადასცენ სახელმწიფოს თავისი ხელფასის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო სანაცვლოდ სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო ჯანდაცვას, ან მოილაპარაკონ, რომ სახელმწიფოს გადასცენ კიდევ უფრო მეტი თანხა, სახელმწიფო კი უზრუნველყოფს უფასო განათლებას ან შეწვეობის გადახდას უმუშევრობის შემთხვევაში. საქმე იმაშია, თუ როგორი მოლაპარაკება მოხდება მათ შორის.

მოქალაქეებმა უნდა შეიტანონ თავიანთი წვდელი სახელმწიფოს სამი ფუნქციის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფომ უნდა შექმნას არმია, პოლიცია და სასამართლო სისტემა.

ვერავითარი თეორიები და ლექციები ვერ შეცვლიან საპროცესო სამართალს და მით უფრო ვერ შეცვლიან მას პოლიტიკოსების ხმაშიაღლი

ფრაზები და დაპირებები.

საბროცესო სამართალი არსებული საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობაა, რომელთა საშუალებით მე შემოიძლია გაიძულო მმართველნი დაიცვან ჩემი უფლებები. ხანდახან ჯობია კიდევ, როდესაც ფორმალურად მე მაქვს ნაკლები უფლებები და თავისუფლებები, მაგრამ მაქვს ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც შემოიძლია გაიძულო მმართველნი პატივი სცენ ამ უფლებებს და მომცენ გარანტიები მათი განხორციელებისათვის. უარესია, როდესაც საკანონმდებლო აქტებში ბევრია კეთილხმოვანი სიტყვები, მაგრამ მე დაუცველი ვარ სახელმწიფოს წინაშე.

კონსტიტუციონალიზმი ხელისუფლების შეზღუდვის პრინციპია. ხელისუფლება შეუძლია იმოქმედოს და მიიღოს გადაწყვეტილებები მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში. როგორც წესი, კონსტიტუცია ადგენს ამ ფარგლებს. მაშ ასე, ხელისუფლებას იმდენი უფლება აქვს, რამდენსაც მას ანიჭებს კანონი, მოქალაქისაგან განსხვავებით, რომელსაც აქვს ყველაფრის უფლება, რასაც არ უკრძალავს კანონი. ამას გარდა კონსტიტუციონალიზმი მოითხოვს, რომ თამაშის წესები და კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს მეაფიო და საყოველთაოდ ცნობილ იყოს და არ იცვლებოდეს უეცრად – ნაკლებად მნიშვნელოვანი და წუთიერი მოსაზრებებისა და გადაწყვეტილებების გადენით.

პარლამენტის მიერ მიღებულ კანონთა უმაღლესი იურიდიული მნიშვნელობის მქონე აქტებთან, კონსტიტუციებთან, ან საერთაშორისო პაქტებთან შეუსაბამობის ხაზარაჯოზე დგას საკონსტიტუციო სასამართლო, ან საკონსტიტუციო ტრიბუნალი. ისინი XX საუკუნის დასაწყისში აღმოცენდნენ. ტოტალიტარიზმის გამო(ცდილებამ იქამდე მიგიყვანა, რომ II მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი სასამართლოები ბევრ ქვეყანაში შეიქმნა. თუ საკონსტიტუციო სასამართლო, ან საკონსტიტუციო ტრიბუნალი ცნობს რომ კანონი, ან სხვა ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მაშინ ეს აქტი უნდა შეიცვალოს, ან უნდა გაუქმდეს. მრავალი წლის მანძილზე უხეინესი მმართველი პარლამენტი იყო. როდესაც პარლამენტი იღებდა კანონს, ეს კანონი განსაზღვრავდა მოქალაქის მდგომარეობას. სისტემის სრულყოფის

აუცილებლობამ და ისეთი სისტემის შექმნის სურვილმა, რომელიც პარლამენტზე უფრო ეფექტურად დაიცავდა მოქალაქის უფლებებს – საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნამდე მიგიყვანა. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ პარლამენტს, როგორც კანონშემოქმედს ყველაფრის უფლება არა აქვს, რომ არცერთ კანონს, ანუ პარლამენტის არანაირ მოღვაწეობას არ შეუძლია დაარღვიოს რიგი სამოქალაქო უფლებებისა. დემოკრატიის ხანგრძლივი ტრადიციების მქონე უძრავეს ქვეყნებში მოქალაქეებს აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება. თუკი ამოიწურა დაცვის ყველა სხვა შესაძლებლობა. ადამიანს, რომლის საკონსტიტუციო უფლება შეიღება შესაძლებლობა აქვს მმართველთა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც საბოლოო განაჩენს გამოიტანს.

უკონტროლო ძალაუფლება აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას. სწორედ ამიტომ აღმოცენდა ძალაუფლების გადანაწილების იდეა. საკანონმდებლო ხელისუფლება ქმნის კანონებს, აღმასრულებელი ხელისუფლება მართავს სახელმწიფოს, ხოლო სასამართლო ხელისუფლება წვეტს სადეო საკითხებს კანონის საფუძველზე სახელმწიფო ინსტიტუტებს, სახელმწიფოსა და მოქალაქეს, მოქალაქეთა შორის. ხელისუფლების ეს სამი შტო ურთიერთდამოკიდებულა და ერთმანეთს აკონტროლებს. თუ ერთი მათგანი იწყებს გადაგვარებას დანარჩენები (ცდილობენ მასზე ზემოქმედების მოხედვას და მის შეცვლას. ეს პრინციპი კარგად მუშაობდა მსხვილი პოლიტიკური პარტიების შექმნამდე.

პარტია, რომელიც პარლამენტში მანდატების უმრავლესობას მიიღებს აწესებს თავის კანონებს და მმართველობაში საკუთარი ხალი შეჰყავს. ხელისუფლების დაყოფა ქრება, ამიტომ მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას პირდაპირი დემოკრატიის ელემენტები ჩემატა. ჩვეულებრივი ორი იდეა გამოიყენება: პირველი ეს არის სამოქალაქო რეფერენდუმი. მისი აზრი იმაშია, რომ თუკი მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა მიდის იმ დასკვნამდე, რომ მის ქვეყანაში მოქმედი ესა თუ ის კანონი არ არის სწორი და მორალური. მათ შეუძლიათ მოითხოვონ რეფერენდუმის ჩატარება. მისი შედეგები საბოლოოა. ან საშუალებით მოქალაქეებს შეუძლიათ არასწორი კანონების გაუქმება პოლიტიკოსების ჩარევების გარეშე. მეორე იდეის აზრი იმაშია, რომ პოლიტიკური ინსტიტუტებისაგან

დამოუკიდებლად მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია შეიტანოს პარლამენტში საკუთარი კანონპროექტი. პარლამენტმა შეიძლება მიიღოს და შეიძლება არ მიიღოს ეს კანონი, მაგრამ მან იგი სახალხოდ უნდა განიხილოს, ხოლო ანგარიშსწორებას პარლამენტის იმ წევრების მიმართ, რომლებმაც ხმა მისცეს ან არ მისცეს ამ კანონს ამომრჩეველები მშვენივრად მოახერხებენ მომდევნო არჩევნების დროს.

ტოტალიტარულ სახელმწიფოში ყოველთვის არის ორი პოლუსი: ჩვენ და ისინი. ჩვენ - საზოგადოება, ისინი - ხელისუფლება. დემოკრატიულ, ლიბერალურ სახელმწიფოში კი - ჯგუფები და მცირე ჯგუფები. საქმე იმაშია, რომ ამ ჯგუფებსა და მცირე ჯგუფებს უნდა მიეცეთ საკუთარი ინტერესის გამოვლენის შესაძლებლობა. ეს მიზანი ზშირად აქვთ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და რაც მეტია მათი რაოდენობა და თუკი ისინი კიდევაც ექიმებიან ერთმანეთს, დემოკრატია და პლურალიზმი ამით მხოლოდ მოიგებს. მაგრამ აუცილებელია თამაშის წესების დაცვა. უნდა ვითამაშოთ მუშტი-კრივის გარეშე. ამაში პლურალიზმის არსი.

საზოგადოების ორგანიზებისათვის არ არის საკმარისი მოქალაქეთა კეთილი ნება, საჭიროა შესაბამისი კანონმდებლობა. ეს მშვენივრად იცოდნენ ტოტალიტარული ქვეყნების ხელისუფლებებმა და თავიანთ საკანონმდებლო სისტემებში დებდნენ შლაგბაუმებს, რომლებიც მოქალაქეებს დამოუკიდებელი მოღვაწეობის ყველანაირ შესაძლებლობას უკეპავდნენ. რაც უფრო ლიბერალურია კანონები, რაც უფრო მარტივია საკანონმდებლო აქტები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება შეიქმნას საზოგადოებები, კავშირები და ფონდები, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ხალხი დაირახმება საკუთარი უფლებების დაცვადაც და იმდენად აღარ იქნება დამოკიდებული პოლიტიკოსებზე.

ხელისუფლების მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის მცდელობის საწინააღმდეგო ინსტრუმენტები მოქალაქეთა ხელში უნდა იყოს. ყველგან და ყოველთვის ხელისუფლება არღვევს ადამიანის უფლებებს. ეს გამომდინარეობს როგორც იქიდან, რომ მოქალაქეთა უფლებების დარღვევით უფრო ადვილია მართვა, ასევე იქიდან, რომ უკონტროლო ძალაუფლება გადაგვარდება, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება გადაგვარდება აბსოლუტურად.

თამაშის წესები

ერთ კოლონიაში, რომელიც ეკუთვნოდა იმ სახელმწიფოს, ყოველთვის რომ იცავდა კანონებს, კოლონიზატორებმა მარილსახელის მონოპოლიზება მოახდინეს. ერთ მშვენიერ დღეს ოკეანის სანაპიროსთან მივიდა კოლონიის ათი მკვიდრი და მარიდრი გაამოხდა დაიწყა. ისინი მალევე დააპატიმრეს. მეორე დღეს იმავე ადგილას ასი ადგილობრივი მოსახლე მივიდა მარიდის გამოსახდელად, ისინიც დააპატიმრეს, მაგრამ კიდევ ერთი დღის შემდეგ ათასი ადგილობრივი მოსახლე რომ გამოცხადდა, ხელისუფლება იძულებული გახდა უარი ეთქვა მარიდის გამოხდის მონოპოლიაზე. სახელმწიფოში, სადაც ყოველთვის იცავდნენ კანონს აზრადაც არავის მოსვლია განსხვავებულად მოპყრობდნენ ერთი და იგივე საქმით დაკავებულ ხალხს.

კომუნისტურ სახელმწიფოში ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. მილიციელები ყველას სცემდნენ, მათგან ექვსს ჩასვამდნენ, ოთხს გარკვეული მიზეზების გამო არ აიყვანდნენ. სამაგიეროდ დააპატიმრებდნენ სხვა ორ პიროვნებას, რომლებიც საერთოდ არ ყოფილან იმ სანაპიროზე. ტერორი იმაში მდგომარეობს, რომ არავინ, რა საქმითაც უნდა იყოს ის დაკავებული, არ იცის რა უკლდება. ეს სამართლებრივი სახელმწიფოს სრულიად საპირისპირო სახელმწიფოა.

ტერმინი - სამართლებრივი სახელმწიფო გერმანელების შემოტანილია. სამართლებრივ სახელმწიფოში არსებობს მკაფიო, საყოველთაოდ ცნობილი, სტაბილური თამაშის წესები. ასეთ სახელმწიფოში მეფობს კანონი, ხოლო მოქალაქე ყოველთვის იცის თუ რა ღონისძიებას მიმართავს სახელმწიფო მისი ქმედების საპასუხოდ.

რაც უფრო მკაფიო და სტაბილურია ეს წესები, მით უფრო უკეთესი და უსაფრთხოა ჩვენი საყოფაცხოვრებო პირობები. ამით ჩინონიკებიც არიან დაინტერესებულნი, ვინაიდან დაცული არიან უფროსების თავნებობისაგან. ჩინონიკიც ხომ არის მთხოვნელის როლში.

ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ თავი და წესებულებათა მიერ ჩვენი უფლებების შელახვისაგან.

პეტიცია თავდაცვის უძველესი საშუალებაა. საქმე ეხება არა მხოლოდ საჩივრის შეტანის უფლებას, არამედ ხელისუფლების მოვალეობასაც

შექმნას ჩინოფენიტა კონტროლის სისტემა, რომელიც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებს ექვემდებარება. თუ მე შემაქვს საჩივარი, მაშინ ის ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ სისტემას ვაღივებულა განიხილოს ეს საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში და შემოგთავაზოს საკითხის გადაჭრის ესა თუ ის გადაწყვეტილება.

კომუნისტური ქვეყნების სამართლებრივი სისტემები შესაძლებლად თელიდნენ ზარალის ანაზღაურებას, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში. თუ თანამდებობის პირის უკანონო ქმედების შედეგად მე მომიყენეს მატერიალური ზარალი, მე მაქვს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაგრამ კომუნისტები ამტკიცებდნენ და გთხოვთ მოუსმინოთ რამდენად კეთილშობილურად ელერს მათი სიტყვები -- კომუნისტები ამტკიცებდნენ, რომ მორალური ზარალის ანაზღაურება შეუძლებელია და ამიტომ გააუქმეს მორალური ზარალის ანაზღაურების ინსტიტუტი. ამის შედეგად, როდესაც კომუნისტები გვაძვირებდნენ, თელადნენ ჩვენს ღირსებებს, ლახადნენ, არღვევდნენ ჩვენს ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, ისინი პასუხს არაფერზე ავებდნენ და დაუსჯელი რჩებოდნენ.

ძალიან ეფექტური ღონისძიება თანამდებობის პირთა დისციპლინის ამაღლებითსათვის მოქალაქეთა უფლებების შელახვისათვის მოსამსახურეთა და დაწესებულებათა პირდაპირი ფინანსური პასუხისმგებლობის შემოღება. ჩინოფენიტა ყველა სახელმწიფოში შეიძლება შელახოს ადამიანის უფლებები, მაგრამ კანონების დამცავ სახელმწიფოში დაზარალებულს ეკუთვნის ზარალის ანაზღაურება, რომელსაც სოლიდარულად გადაიხდიან ჩინოფენიტა - საკუთარი ჯიბიდან, ხლო დაწესებულა - საკუთარი საღაროვად. ეს ეგ ზოტიც არ არის.

სისტემა მშენიარად მუშაობს მთელ რიგ სახელმწიფოებში, რომლებიც იცავენ კანონებს. ჯიბეზე დარტყმა ეფექტური ზომა აღმოჩნდა თანამდებობის პირთა თავნებობის შესახდულად.

ადმინისტრაცია დაკავებულია მოქალაქეთა საქმეებით, მაგრამ მას აქვს აგრეთვე საკუთარი ინტერესებიც, ჩნდება კონიუქტურა და განმარტებები, რომლებიც არღვევენ მოქალაქეთა უფლებებს. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის მუშაობის კონტროლი, რასაც ადმინისტრაციული სასამართლოები განაგებენ. მათი სპეციფიკურობა

იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ამოწმებენ მხოლოდ პროცედურის კანონიერებას, იყო თუ არა დაცული კანონიერება ამ მიმართებით და ხომ არ დაორღვა ადამიანის უფლებები ადმინისტრაციული გადაწყვეტილების შედეგად. ადმინისტრაციული სასამართლო არ აკონტროლებს თვით გადაწყვეტილების სისწორეს. ალბათ, სწორედ ამიტომ, მოქალაქეებს ხშირად არ ესმით მისი როლი.

ადმინისტრაციული სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება მხოლოდ თავისუფალი ადმინისტრაციული გადაწყვეტილება. ე.ი. მთელი ის არე, რომელიც შეე კანონმდებელი საკითხების გადაწყვეტის უფლებას ადმინისტრაციის ნება-სურვილს უტოლებს. სასამართლო აკონტროლებს მოტყუებას, რომლითაც ხელმძღვანელობდა ადმინისტრაცია. თუ გადაწყვეტილების მოტივაცია ზედამიწულია, ან არ არის მკაფიო, სასამართლო უკუაგდებს გადაწყვეტილებას, როგორც არასწორს.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ადმინისტრაციის სასამართლო კონტროლი მოგვიანებით შემოიღეს, მაგრამ სადაც ეს სისტემა მოქმედებს იგი მოიცავს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებებისა და ადმინისტრაციული მუშაობის კონტროლის ფართო წრეს. იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი სასამართლოები უკვე არიან, ისინი განიხილავენ იმ საქმეებს, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქის შეცოდებაში შეყვანასთან, მოქალაქის თანამდებობიდან განთავისუფლებასთან მოტივების ვარაუგ სასამართლო კონტროლი გამოიხილენს იმ მოტივებს, რომლითაც ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა. გადაწყვეტილებები საჯაროდ უნდა გამოცხადდეს, რადგან მოქალაქეები უნდა დავიცვათ კონიუქტურისა და მორტივი მმართველი გუნდის აქტუალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული გადახრებისაგან.

მოქალაქეთა სასამართლო დაცვა ადმინისტრაციის უპასუხისმგებლო საქციელისაგან თვით სასამართლოების არსიდან გამომდინარეობს. სასამართლოები ხომ ხელისუფლების მესამე შტოა. ამასთან დაკავშირებით მოქალაქეთა შორის ინდივიდუალური დავების განიხილვისთან ერთად სასამართლოები ვაღივებულნი არიან გააკონტროლონ და შემოიღონ ხელისუფლების დანარჩენი ორი შტო - კანონმდებელი და აღმასრულებელი. ამავე მიზეზით სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ანტიკონსტიტუციური კანონის, ან იმ აქტების მიღებაზე, რომლებიც

მწინააღმდეგეებიან კონსტიტუციას ამრიგად სასამართლოები მოქალაქეთა კონსტიტუციური სტატუსის დამცველი არიან.

სასამართლო დამოუკიდებელია. მოსამართლის დამოუკიდებლობა დაცულია მათი დანიშვნის რთული სისტემით, მათი უცვლელიობით, იმუნიტეტით, პოლიტიკური მოღვაწეობის აკრძალვით და პოლის სასამართლის შემოშლის რთული საპროცესო და ორგანიზაციული გარანტიებით. მთელი ამ დონისიძიება მიზანია მივადწიოთ სასამართლოს დამოუკიდებლობას ადმინისტრაციისაგან.

შეხვედრება მდებარეობის წერტილის წარმოებულა და ამიტომ სასამართლოს აქვს სხვა ხედვა, ვიდრე პროკურორს, ადმინისტრაციას, ან პოლიციას. ყველა ამ დონისიძიებათა მიზანი არის, რომ სასამართლოში მოხვედრილმა ადამიანმა იცოდეს, რომ ის არის დამოუკიდებელი ორგანოს განკარგულებაში. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები არ არის დაცული, თუ არ არის გარანტირებული სამართლიანი სასამართლო გარჩევის უფლება. მხოლოდ საერთო სასამართლო არის გარანტი საქმის სამართლიანი გარჩევისა. არ არის საქმის სამართლიანი გარჩევა იმ სასამართლოში, რომელსაც აყალიბებენ ხელისუფალი კონკრეტული საქმის გასარჩევად, თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგის განსახვედრად. საერთო სასამართლო სჯის ჩქარა. ისე რომ დრო განაჩენის გამოტანამდე ვერ წაშლის მესხიერებიდან ჩადენილს. საერთო სასამართლოში არიან მოსამართლენი, რომელთა იურიდიული ცოდნა, ზნეობრიობა, მორალი და პატიოსნება არავისში იწყებს ვჭებს.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში შვეიციაში აღმოცენებული მოქალაქის უფლებათა წარმომადგენლის ინსტიტუტი. II მსოფლიო ომის შემდეგ ეს ინსტიტუტი არაერთმა ქვეყანამ გადაიღო. მოქალაქის უფლებათა წარმომადგენელი ვერ ჯდება ხელისუფლების განაწილების კლასიკურ მოდელში, არ არის მისი ელემენტი და რეალურად არ ხსორციულებს ხელისუფლებას. ომბუდსმენი დამოუკიდებელია, გააჩნია იმუნიტეტი და სანამ უკავია ეს თანამდებობა მისი პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლება. მისი დანიშნულებაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ყველა დარღვევაზე რეაგირება. ომბუდსმენი აღძრავს საკითხებს, რომელიც მას აეჭვებს. მაგ. პოლინეთში მან შეიძლება მიმართოს

საკონსტიტუციო სასამართლოს, თუკი ეჭვს შეიტანს კანონებისა და სხვა უფლებრივი ნორმების კონსტიტუციურობაში. ის შეიძლება გახდეს ინიციატორი იმ პრაქტიკის შეცვლისა, რომელიც არღვევს მოქალაქეთა უფლებებს. ომბუდსმენის საქმე არ არის არც ზარალის ანაზღაურება, არც კონკრეტული საქმეების ვინმეს სასარგებლოდ გადაწყვეტა. იგი ამორჩევით განიხილავს იმ საქმეებს, რომლებსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანად მიიჩნევს. ეს ის საქმეებია, რომლებმაც ყველაზე სერიოზული ზარალი გამოიწვიეს, ან რომელიც ადამიანთა დიდ ჯგუფს ეხება. ომბუდსმენმა რომ ყველა საქმეს მოჰკიდოს ხელი, იგი საჩივრების მიმდებ ბიურავდ გადაიტეკვა და ვერაფერს კონკრეტულს ვეღარ გააკეთებს. ომბუდსმენთან თხოვნით მისულმა კი უნდა იცოდეს, რომ იგი ყოვლის-შემძღვ არ არის, რომელიც უთოოდ შესძლებს მათი საქმის მოგვარებას. ომბუდსმენი მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვით არის დაკავებული და არ ერევა მეზობლებს შორის კამათში, მაგარმ როგორც პუდაგოგი ომბუდსმენი ასწავლის ჩინოვნიკებსაც და რიგით მოქალაქეებსაც კანონის ინტერპრეტაციას პიროვნების და არა სახელმწიფოს ინტერესების დაცვის კუთხით.

ადამიანი ცხოვრებაში მრავალ როლს ასრულებს, აქვს თვისებები, რომელთაც შეუძლიათ მიიყვანონ იქამდე, რომ უმცირესობაში აღმოჩნდეს. ადამიანები ერთიანდებიან თავიანთ მსგავსთან, რათა დაცვან თავი მათი პრობლემების მიმართ ინდივიდენტული უმარგვესობისაგან. ჩვენ თვითონაც შეგვიძლია ვიზრუნოთ იმაზე, რომ არ დაირღვეს ჩვენი უფლებები. ქვეყნებში სიდაც დიდი ხანია არსებობს დემოკრატიული წყობილება მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება გამსჭვალულია არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობით.

განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ არასწორი კანონების გაუქმებას, ადამიანთა შეგნებასა და საზოგადოებრივ სინამდვილეზე ზემოქმედებას. ისინი არ მიიღებიან ხელისუფლებისაკენ, არ მონაწილეობენ მის განხორციელებაში და ამით ძირუღდად განსხვავდებიან პოლიტიკური პარტიებისაგან. არასამთავრობო ორგანიზაციები ზრუნავენ ჩვენს იმ უფლებებზე, რომე-იც ჩვენ უნდა გავაჩინდეს, რათა ღირსეულად შევასრულოთ ესა თუ ის როლი ჩვენს ცხოვრებაში. არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

თითოეულს გვაქვს უფლება...
სიცოცხლისა

არის ის დამცველი ქსოვილი, რომელიც იცავს პიროვნებას უმრავლესობის ანონიმური ძალაუფლებისაგან.

ხელისუფალთა ხელყოფისაგან საკუთარი უფლებების დასაცავად მოქალაქეს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა ინსტიტუტები, კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სასამართლო, სისხლის სამართლის სასამართლო, სამოქალაქო სასამართლო, კონსტიტუციის პირდაპირი დანართი, სამოქალაქო კანონშემოქმედებითი ინიციატივა, რეფერენდუმი, ომბუდსმენი, პეტციები. ეს არის არასრული სია თავდაცვის საშუალებებისა. როდესაც უკვე ამოწურულია თავდაცვის საშუალებები ქვეყნის შიგნით, შესაძლებელია მიმართოთ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლოს, რომელიც შეაფასებს კჭონდა თუ არა ჩემს სახელმწიფოს უფლება ამგვარად მომქცეოდა.

კომუნისტური სახელმწიფო არდევდა მოქალაქის უფლებებს და ამტკიცებდა, რომ ეს შიდასახელმწიფოებრივი საქმეა. არ არის სწორი. არის ისეთი სიბრტყე, სადაც სახელმწიფოს სუვერენიტეტი იზღუდება და სადაც საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შინაგან საქმეებში ჩარევის უფლება. ეს არის ცალკეული ადამიანების უფლებების დაცვა, ყოველი ჩვენგანის უფლებების დაცვა.

სიცოცხლის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. ამ უფლების გარეშე ადამიანის ყველა დანარჩენი უფლება ყოველგვარ აზრსა და დასაბუთებას კარგავს. ამიტომაც, ადამიანის უფლებათა დაცვის ვეროპულ კონვენციაში, მანამდე კი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში – სიცოცხლის უფლება პირველ ადგილზე დგას.

სიცოცხლეს მუდამ მიიჩნევდნენ ფასეულობად – საკუთარსაც და სხვისასაც, მაგრამ დამოკიდებულება ამ ფასეულობის მიმართ განსხვავებული იყო. როგორც ისტორია ადასტურებს, თავდაპირველად სიცოცხლისადმი მიღვამა ერთობ შერჩევით და ინსტრუმენტულ ხასიათს ატარებდა. სხვისი სიცოცხლის პატივისცემა, უფრო სწორად პატივისცემა არა საკუთარი ჯგუფის წევრის მიმართ, საფლადგულო არ ყოფილა. უცხო ადამიანის სიცოცხლეს რომ დაცვა არ სჭირდება, ბუნებრივადაც კი იყო მიჩნეული. უძველეს ხანაში მოხუცებისა და არასრულყოფილი ბავშვების სიცოცხლესაც კი არ უფრთხილდებოდნენ.

არსებითად, პიველი დოკუმენტი, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობას აფუძნებს, 1215 წელს ინგლისის მეფის მიერ ხელმოწერილი თავისუფლების დიდი ქარტია იყო.

ადამიანის სიცოცხლის უფლების ფასეულობის დამკვიდრება თანდათანობით ხდებოდა; ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობა მხოლოდ დიდმა რევოლუციებმა აღიარეს, მაგრამ ამ დროს არც ერთ ვეროპულ დეკლარაციაში არ გაენილა დებულება, რომელიც სიცოცხლის უფლების გარანტი იქნებოდა.

სხვადასხვა ფილოსოფიური თუ ზნეობრივი დებულებები განსხვავებულად პასუხობენ კითხვას, თუ რა არის ადამიანი და რა ფასეულობას წარმოადგენს იგი. მიუხედავად დღესაც და წარსულში არსებული განსხვავებებისა თვით იმის გაგებაში, თუ რას წარმოადგენს ადამიანური ღირსება, უკვე შეინიშნება გარკვეული კონსენსუსი. ამ კონსენსუსის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული ადამიანური არსება ღირსების

მქონეა. ამდენად, ვერც ერთ ადამიანს, მისი ასაკისა და თუ განვითარების მონაცემებზე ვერ მიუღებები ინსტრუმენტულად.

როცა სიცოცხლის უფლებაზე ვსაუბრობთ თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ, თუ რას ვგულისხმობთ: უფლებას, თავისუფლებას თუ ვალდებულებას. ამ კითხვას ისეთ პრობლემამდე მივყავართ, როგორცაა თვითმკვლავობა. სულ ბოლო ხანებამდე დიდ ბრიტანეთში თვითმკვლავობის მოსურნეებს სასჯელი ეკლავათ, რადგან ისინი სიცოცხლეს ხელყოფდნენ. ცალკე საკითხია სიკვდილით დასჯა და აუცილებელი თავდაცვის პრობლემა. რა არის დასაშვები ამ დროს: თავდაცვის მიზნით მოკვლა თავდასხმელისა, რომელიც თავად გიპირებს მოკვლას, ანდა ქურდისა, რომელიც ცდილობს გაქცევით უშველოს თავს?

და ბოლოს - ომი. კლავუზებიცაა თქვა, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა. მაშ გაიზიან, რომ თუკი პოლიტიკოსები წაიხზუნებნ და ომში გამეზახნენ, მე ვიძენ უფლებას მოვკლა სხვა, ან სხვას მოვაკვლავინო თავი პოლიტიკური მიზნების გამო?

მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებამ გვაიძულა სიცოცხლის დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დადგენა.

თავისუფლება ისეთი რამ არის, რასაც ვერაიან წაგვართმევს - ვერაიან წაგვართმევს გარედან. უფლება კი ისეთი რამაა, რაც პოტენციურად არსებობს და სახელმწიფო ვალდებულია ჩემი უფლებების ხორცშესხაში დამეხმაროს. სიცოცხლის უფლების ამგვარი გაგება იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფო ვალდებულია სიცოცხლის შენარჩუნებაში დამეხმაროს.

ამ გარემოებას გარკვეული შედეგები მოაქვს. ზოგს მიაჩნია, რომ იგი ავალდებულებს სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის გარკვეული მინიმუმის უზრუნველყოფას, რათა ისინი შიმშილით არ დაიხოცნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში საეჭვო გახდება სიცოცხლის უფლება. სიცოცხლის თავისუფლება კი გულისხმობს, რომ ჩემი სიცოცხლე ჩემსავე ხელშია და სახელმწიფო მას ვერ წამართმევს. ყოველივე დანარჩენი კი ჩემი საზრუნავია. დღევანდელი დისკუსიებში კიდევ ერთი კითხვა წამოიჭრა: აქვს თუ არა სიკვდილის უფლება ძალიან მოხუც ან ძალიან ავადმყოფ ადამიანს, რომელსაც აღარ სურს სიცოცხლე? ამ კითხვაზე პასუხი სცილდება ჩვენს შესაძლებლობებს, რადგან შესაბამისი მოქმედების ზნეობრივ შეფასებას მოითხოვს.

ბუნებრივი სიკვდილი - საკუთარი სიკვდილია, არა სხვისი ხელით სიკვდილი. სხვისი ხელით სიკვდილი შეიძლება არა მხოლოდ ქმედების, არამედ უმოქმედობის გამოც მოხდეს, იმ შემთხვევაში, როცა არსებობს მოვალეობა ვეფლავური გააკეთო სიცოცხლის გადასარჩენად. ეფთანაზია - ბუნებრივი სიკვდილის უარყოფაა. ჩველებრივ ეფთანაზია არჩვენს გულისხმობს - არჩვენს მომაკვდავისა, ადამიანისა, რომელიც სიკვდილს ელის, ან მოითხოვს კიდევ სიკვდილში დახმარებას სასტიკი ტანჯვისაგან თავის დასახსნელად. ეფთანაზიის საკითხი დაკავშირებულია პრინციპული ხასიათის კონფლიქტებთან: აქ წარმოიჭება ძირითადი ფასეულობების კონფლიქტი - ერთის მხრივ, სიცოცხლეს, როგორც ფასეულობასა და, მეორეს მხრივ - თითოეული ადამიანის უფლებას შორის ავტონომიურად მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი თავის შესახებ. გარდა ამისა, ეს არის კონფლიქტი საკუთრივ სიცოცხლესა და სიცოცხლის ხარისხს შორის. მარტვი გადაწყვეტილება აქ არ არსებობს. ზნეობა და, როგორც წესი, კანონიც კრძალავენ ქმედებებზე დამყარებულ ეფთანაზიას და ამკვიდრებენ სიცოცხლეს. ამავე დროს, სასიკვდილო სნეულების შემთხვევაში, არც ზნეობას და არც კანონს არ შეუძლიათ გვაიძულონ, რომ განვგებოთ სიცოცხლე და ჩავევიდეთ მას თანამედროვე მედიცინის ყველა საშუალების გამოყენების გზით.

მედიცინაში არსებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთია ზოგი იშვიათი ოპერაციის ხელმისაწვდომობა. ნებისმიერ, მათ შორის ყველაზე მდიდარ ქვეყნებშიც კი, არის ოპერაციები, რომლებსაც რამდენიმე ადამიანი თუ ვასწვდება, მაშინ, როცა ხელმოკლე ადამიანების რიცხვი, ვისაც ასეთი ოპერაცია სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, ასობითაა. აქ საჭირო ხდება კრიტერიუმების დადგენა: ვინ გადავიჩინოთ, და ვინ - არა. უარესად როდესა ამ მართებულ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ეფთანაზია განსაკუთრებული პრობლემაა. 1991 წელს ნიდერლანდების მთავრობის დაკვეთით ჩატარდა გამოკვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ ამ ქვეყნის ყოველი მეხუთე მოქალაქის სიკვდილი იმითაა გამოწვეული, რომ ექიმმა არ გამოუწერა მას შესაბამისი წამალი, შეგნებულად გადააჭარბა ტკივილდამაყურებელი საშუალებების დასაშვებ დოზას, არ მკურნალობდა ავადმყოფს, ან შეწყვიტა მკურნალობის პროცესი.

პარადოქსულია, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

სულ არ განიხილავს სიცოცხლის უფლებას, როგორც აბსოლუტურ უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი უდავოდ ყველზე ფართო უფლებაა და ადამიანის ყველა დანარჩენი უფლებებისა და თავისუფლებების მომცველია. ევროპული კონვენცია ბევრად უფრო რიგორისტულად უდგება წამების აკრძალვას – აქ არ არის რაიმე უკანდახევა. რაც შეეხება სიცოცხლის უფლებას, ამ შემთხვევაში გამოიყენებიან დაშვებულია. მაგალითად, დაშვებულია სიკვდილით დასჯა და გათავისწინებულია რაღაც შემთხვევებისა, როცა ევროპული კონვენციის თვალსაზრისით ელვალური ხდება ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევა. რატომ? იმიტომ რომ საერთაშორისო სამართლის ყველა სხვა აქტის მსგავსად, ევროპული კონვენცია შეთანხმებული იყო ყველა ხელმომწერი სახელმწიფოსთან. ზოგი სახელმწიფო – ამ სახელმწიფოთა ხაზგადგომლობა – ჯერ კიდევ არ იყო შინა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის აბსოლუტური აკრძალვის შესაძლებელი.

ხანდახან ისეც ხდება, რომ ხალხი იარაღით ხელში აღსდგება ხოლმე მისი უფლებების შემლახავი ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს სასეპით გამართლებულია, თუკი არ არსებობს ხელისუფლების დემოკრატიული – არჩევნების გზით – შეცვლის შესაძლებლობა. სხვანაირადაც ხდება – მემარჯვენე ან მემარცხენე ექსტრემისტები ცდილობენ დემოკრატიული ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული გზით. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას, უდავოდ აქვს თავდაცვის უფლება.

შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის საკითხში საერთაშორისო კონვენცია ძალადობის გამოყენებას ითვალისწინებს და სიცოცხლის უფლებასაც კი თითქოს აუქმებს. ეს ძალზე რთული, მძიმე მდგომარეობაა, თუნდაც იმიტომ, რომ ხანდახან ისეთ ჯანსიან გვაქვს საქმე, რომელიც თავიდანვე სისხლისღვრით იწყება და საჭიროა მისი ჩახშობა. იმაედროულად, საერთაშორისო დებულებების მსგავსად, ეს უკანასკნელიც მთავრობათა წარმომადგენლების მიერ არის ჩამოყალიბებული, რაც გვაიძულებს განსხვავებული კუთხით მივუდგე მას. ამ დებულების საუბრეველზე მთავრობას შეუძლია განაცხადოს, რომ მოხდა ჯანსი და მას უფლება აქვს იარაღი გამოიყენოს და ხალხი დახოცოს ჩვენ კი ვეჭვობთ: მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია უშვებს სიცოცხლის უფლებისაგან გადახვევას, ზნეობრივი თვალსაზრისით ეს დაუშვებელია.

ამის კარგი მაგალითია 1956 წლის ბუდაპეშტი. უნგრეთა ამბოხს ანტიდემოკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ, მიუდგენენ როგორც აჯანყებას და იარაღის ძალით ჩახშვს. და კიდევ – თანაზომადობის საკითხი, ქმედებისა და საწინააღმდეგო ქმედების შესაბამისობა – სად თავდება აჯანყების ჩახშობა და სად იწყება მშვიდობიანი მოსახლეობის ელცა, როგორც ეს ჩვენთვის მოხდა?

რაოდენ ანელიც უნდა იყოს ამასთან შერიგება, მინც არსებობს ვითარება, როცა მკვლელთა აუცილებლობად იქცევა. როცა მოდის მკვლედი და იწყებს თავის საქმეს, როცა თავდაცვის არავითარი საშუალება არ არსებობს, როცა დასაცავია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობები. თუმცა, სიკვდილით დასჯას ეს არ ეხება, ვინაიდან სასიკვდილო განაჩენი მაშინ გამოაქვთ, როცა ბრალდებული აღარავისთვის წარმოადგენს უშუალო საფრთხეს.

ყველაზე დამაჯრებელი არგუმენტი, რომელიც კი არსებობს სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგოდ – მუქქევალობაა. ხომ არის შემთხვევები, როდესაც განაჩენის სისრულეში მოყვანის შედეგად იღუპება უდანაშაულო ადამიანი და რაიმეს შეცვლა უკვე შეუძლებელია. ეს მთელი მართლმსაჯულების, მთელი ცივილიზებული საზოგადოებრიობის კომპრომირებაა. მაშ რა უნდა გაკეთდეს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმებამ არ გააძლიეროს დამნაშავეთა დაუსჯელობის განცდა. ვფიქრობთ, რომ მთავარი არგუმენტი აქ ასეთია: სიკვდილით დასჯის გაუქმება არ ნიშნავს დაუსჯელობას, რადგანაც სიკვდილით დასჯის გარდა არსებობს სხვა სასჯელიც და, უპირველეს ყოვლისა, სამუდამო პატიმრობა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე რჩევს დამნაშავეს თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებშიდან.

სიკვდილით დასჯის არსებობის შემთხვევაში, არსებობდა, ადამიანი სამართლის, სახელმწიფოს მკვლად იქცევა. ყველა შემთხვევაში, როცა ჩვენ წამების წინააღმდეგ გამოვდივართ, ყოველთვის, როცა ვამბობთ, რომ ადამიანის სიცოცხლე თავისთავადი ფასეულობაა, ჩვენ იძულებულნი ვართ, ქალბატონებს და ბატონებს, უარი ვითხრათ ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევაზე.

მიგანია, რომ ყოველ ადამიანს აქვს გარდაქმნის უნარი და თითოეულს უნდა მიეცეს ამის შესაძლებლობა. არც თუ იშვიათად, ისეთი ტრაგიკული

მოვლენა, როგორც არის მძიმე დანაშაული, შესაძლებელია შემობრუნების წერტილად მოგვეკვლინოს. სიკვდილით დასჯა ასეთ შესაძლებლობას გამოირიცხავს. მართალია, ჩვენში ცუდიც ბევრია, მაგრამ სიკეთის პოტენციალსაც ვატარებთ. სიკვდილით დასჯა სპობს ამ პოტენციალს. ცნობილია, რომ ერთი ცოდილი, რომელმაც მონიანი თავისი ცოდვები, მეტი სარგებლობის მომტანია, ვიდრე ასი სიკვდილით დასჯილი დამნაშავე.

და კიდევ ერთი მოსაზრება – მე მას გამობროვიჩის თეზისს ვუწოდებ, რომელმაც ჭკვიანური რამ თქვა კამიუს წიგნის – „შეამოხე ადამიანი“ – შესახებ. ამ ნაწარმოებში კამიუ მოგვიწოდებს სინდისის აღორძინებისაკენ და ამტკიცებს, რომ ადამიანები იმით არ არიან კლავნი, რომ სინდისი არ გააჩნიათ, არამედ იმით, რომ სხვაც ბევრია მკვლელი. რაც უფრო მეტია მკვლელობისათვის მზად მყოფი ადამიანი, მით უფრო ადვილია მკვლელობის ჩადენა. და თუკი თვით სახელმწიფოა მკვლელი, მაშინ მკვლელობის ჩადენა კიდევ უფრო ადვილი ხდება. ამ თეზისს წინ წამოვეწვეთ ზნეობრივი არგუმენტის სახით.

თითოეულს გვაქვს უფლება... პირადი ცხოვრებისა

სახელმწიფოს არა აქვს უფლება ჩაერიოს ადამიანთა პირად ცხოვრებაში. სახელმწიფოს ყოველ ჩარევას კანონიერი საფუძველი უნდა ჰქონდეს, თანაც, პარლამენტს შეუძლია შესაბამისი კანონის მიღება მხოლოდ მაშინ, როცა ამას თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების საჭიროება მოითხოვს. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი შეიძლება სახელმწიფოს ჩარევას ითვალისწინებდეს, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოითხოვს სახელმწიფოს უშიშროება ან დამნაშავეობის აღკვეთა. კანონის ნორმები არ უნდა აღემატებოდეს მინიმალურ შეზღუდვებს, რომლებიც საკმარისია ამ ორი მიზნის მისაღწევად. ამ წესების დაცვაზე მეთვალყურეობას საერთაშორისო სასამართლოები აწარმოებენ.

პირადი ცხოვრების მოთხოვნილება მხოლოდ ადამიანებს როდი აქვთ. არსებობს ეს ყველა ცოცხალი არსების მოთხოვნილება. ყოველ ცხოველს სჩვევია თავისი საარსებო ტერიტორიის მონიშვნა. ჩვენს შინაურ ძაღლებსა და კატებსაც კი სიამოვნებთ ისეთი მდგომარეობა, როცა მათთვის განკუთვნილ ადგილას სხვა ცხოველი კი არა, არამედ მათი პატრონიც კი ვერ შეაღწევს ადვილად. ეს ერთგვარი ბუნებრივი სიერცვაა, რომელსაც ყოველი ჩვენგანი საკუთარ სამფლობელოდ მიიჩნევს.

პირადი ცხოვრების მოთხოვნილება დიდი ხნის წინ წარმოიქმნა. შუა საუკუნეების ქარტიები უკვე მოიცავდნენ საკუთარი საცხოვრისის დაცვის უფლებას და უკრძალავდნენ ხელისუფლებას სპეციალური ორდერის ან საგანგებო უფლებამოსილების გარეშე კერძო სახლებში შეჭრას. თვით მოთხოვნილება კი ცვლილებებს განიცდიდა. ეს ყოველივე ბუნებრივია, უკავშირდება ადამიანის ღირსებას, ვინაიდან ადამიანის ღირსება სხვა არაფერია, თუ არა მისი პირადი ავტონომია და სახლგარი მის გარშემო. არსი ყველა უფლებისა იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს ისეთი სახლგარი, რომელსაც დასაბუთებული მიზეზის გარეშე ვერავინ დაარღვევს.

სოციალისტური ზნეობა იყო პირადულის ყველაზე ელემენტარული განცდის მოსაპობის შეგნებული მცდელობა. ეს იყო მცდელობა ადამიანის

გათქვეფისა სახელმწიფოს უშველელად ურჩხულში, რომელსაც პარტია მართავდა; ტოტალიტარულ ურჩხულში მისი გათქვეფისა და ამ გზით მისთვის ავტონომიურობის, ინდივიდუალობის, პირად ცხოვრებაზე პრეტენზიის წართმევა. ცხოვრების თითოეული სფეროს შესახებ, იქნებოდა ეს ინტიმური თუ ოჯახური ცხოვრება მიუვლს კოლექტივს უნდა სცოდნოდა ყველაფერი, კოლექტივი კი, არსებითად, იმავე მმართველ, ხელმძღვანელ და ყოველსმცოდნე პარტიას წარმოადგენდა.

განვსაზღვრათ რა მოკლედ სოციალისტური ზნეობის კანონს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრახულოდგოიდა იგი დაიფიანებოდა დედოფალ ვიქტორიას დროინდელი მეცხრამეტე საუკუნის ინგლისის ზნეობრივ კანონმდებლს, რომელსაც ახასიათებდა მოჩვენებითი სიქველ და პირფურთაბა. მოჩვენებითობა იმხნად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ადამიანის ჭეშმარიტი განცდები.

კომუნისზმის დროს არ რჩებოდა ადგილი პირადულისთვის. პირადი ცხოვრების უფლება მხოლოდ პოლიტიკოსებს ჰქონდათ. პოლიტიკოსები პრესას აკონტროლებდნენ და არავინ იცოდა, თუ რამდენი ცოლი და საყვარელი ჰყავდა პრემიერ ცირანკევიჩის. ისე, ჭორებს თუ დაუჯერებთ, ბლომად ჰყოლია. იმაედროულად, დასავლეთში პოლიტიკოსებს. ამგვარი ფართი არ გაჩნიათ - საზოგადოებრიობა თვალყურს ადევნებს და კონტროლს უწევს მათ ქცევას.

როგითი მოქალაქეების პირადი ცხოვრება დაცული არ ყოფილა. პირადი ცხოვრების უფლება უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორცაა: შეიძლება თუ არა ჩემზე მეთვალყურეობის დაწესება. რადა თქმა უნდა - არა! მაგრამ კომუნისზმის დროს არავითარი ბარიერი არ ყოფილა. ამის მიზეზი საკუთრივ სისტემა იყო - სისტემა, რომელიც მიისწრაფოდა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების კონტროლისა და დამორჩილებისაკენ. სისტემა, რომელიც ყოველსმომცველობას ესწრაფოდა და რის გამოც ტოტალიტარულს ეუწოდებთ, სისტემა რომელიც საგანგებო მექანიზმებსა და ინსტიტუტებს ქმნიდა. ასე, მაგალითად, სისტემატურად ხორციელდებოდა წერილების პერდუსტრაცია. უმისროების სამინისტროს მონაცემებით მხოლოდ 1953 წლის განმავლობაში წაკითხულ იქნა 16 მილიონი წერილი. ეს კი ჩვენს პირად ცხოვრებაში უშუალო ჩარევას ნიშნავს.

მაგრამ საქმე ამით როდი ამოიწურებოდა. ჩვენს პირად ცხოვრებაში იჭრებოდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა წევრობაც ჩვენთვის იძულებით ხასიათს ატარებდა: პროფკავშირები, ახალგაზრდული და ქალთა ორგანიზაციები. კრებებზე ხშირად გვაძულებდნენ გავექმნილა ყველაზე უფრო სანუკვარი, წარმდგაროვიყვით თვითკრიტიკით. ადამიანისა და ოჯახის ყველაზე უფრო პირადული საქმე უცხოთა და სახელმწიფოს თავდასხმის საგანი ხდებოდა. პირადი ცხოვრების შეხლუდვის ერთობ მნიშვნელოვანი ელემენტი იყო თავისუფალი გადაადგილების შეხლუდა. ქვეყნის შიგნით თავისუფალ გადაადგილებას ჩაწერა ზღუდავდა; საზღვარგარეთ გამგზავრებას - საზღვარგარეთული პასპორტის მიღების აუცილებლობა. პრაქტიკულად, საზღვარი ჩაკეტილი იყო. ასე, 50-იანი წლების დასაწყისში პირადი და არასამსახურებრივი პასპორტით საზღვარგარეთ რამდენიმე ათასი კაცი თუ გადიოდა. ახალ ბინაში ყოველი გადასვლა, სამსახურის ყოველი შეცვლა უსასრულო ანკეტის შეესების მომხსწავებელი იყო, ათუფლობით, ხანდახან კი ასეუფლობით კითხვას რომ შეიცავდა; ისეთ კითხვებს, რომლებსაც ნორმალურ საზოგადოებაში ხელისუფალნი საერთოდ არ სვამენ, ან რომლებიც საერთოდ არ არის საჭირო. ყოველ ადამიანზე არსებობდა პირადი საქმე და ეს საქმე თან მოგვედგა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ჩვენ ისიც კი არ ვიცოდით, თუ რა ეწერა შუგ ზღვართა და რა ეწერა ტყუილი. არადა ამ პირად საქმეზე მთელი ჩვენი ცხოვრება იყო დამოკიდებული.

სამართლებრივ სახელმწიფოში საერთოდ არ სვამენ კითხვებს ეროვნების, მრწამსის, სექსუალური მიდრეკილებების, პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, იმიტომ, რომ ამ კრიტერიუმებს მიხედვით დისკრიმინაცია აკრძალულია. ხოლო რაკი დისკრიმინაცია ამ ნიშნით აკრძალულია, რისთვის სჭირდება მოხელეს ამგვარი ინფორმაცია? სამართლებრივი სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხოვოს პოლიტიკურ პოლიციას მასზე დაგროვილი მთელი მასალის ჩვენება (ცხადია, პოლიციის საიდუმლო თანამშრომლების ინკოგნიტოს დაცვით). ხომ შესაძლებელია, რომ გარკვეულ შემთხვევებში ინფორმაცია მცდარი იყოს? ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში - პოლიციის მიერ თავმოყრილმა

ინფორმაციამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ამ ადამიანთა ბედ-იბრალზე, მათ პოლიტიკურ კარიერაზე.

მაღალ თანამდებობაზე მყოფი ადამიანი თავისი უფლებებისა და თავის-უფლებების ნაწილს კარგავს, უპირველეს ყოვლისა, ეს პირად ცხოვრებას ეხება. დასავლეთ ევროპელებს ეს მშვენიერად მოეხსენებათ. ევროპულ ორგანოებს ამ ადამიანების მიმართ გარკვეულწილად განსხვავებული პოზიცია უკავიათ, მიიჩნევენ რა, რომ პოლიტიკოსს – სწორედ იმიტომ რომ პოლიტიკოსია – თავისი კერძო ცხოვრების დაცვის ნაკლები უფლება აქვს. კონფლიქტები არც ისე უშვიათია: კონფლიქტები იმის თაობაზე, თუ რა განკუთვნიებულია პოლიტიკოსის პირად ცხოვრებას და რა არის უფლება საკუთრივ პოლიტიკოსის შესახებ, პოლიტიკოსის ქვეყნის კრიტიკა. პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკოსის მიმართ მეტია დაშვებული.

პირადი ცხოვრების უფლების მთავარი დასახუთება მდგომარეობს ჩვენი კერძო ცხოვრების ცნობისმთავარებისა და უცხოთა ჩარევისგან დაცვაში. დაცვის ზომები დამოკიდებულია დარღვევის სახეობაზე. არსებობს დაცვის სხვადასხვა ზომა. მათ უფროს უმთავრესია ოჯახური სიმშვიდის, პირადი მიმოწერის პატივისცემა, თავშეკავებულობა, ვიღაცის პირადი ცხოვრების შესახებ ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე უარის თქმა, რომელიც უხერხულობისა და სირცხვილის გრძნობის გამოწვევია.

პირადი ცხოვრების უფლება სწორედაც რომ უფლებაა და არა თავის-უფლება. ეს უნდა ვიცოდეთ, რადგანაც კანონი ხშირად მოითხოვს, რომ სახელმწიფომ, რომლის ოუბისდქციასაც ექვემდებარება ესა თუ ის პირი, არამც თუ თავი შეიკავოს გარკვეული ქმედებისაგან, არამედ რაღაცა გააკეთოს კიდევ ამ ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით. ეს ძალზე დამახასიათებელია სწორედ უფლებებისათვის.

თითოეული ჩვენთაგანის პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნილება შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს სხვათა უფლებების დაცვასთან. ვცემთ რა პატივს ყოველი ბავშვის უფლებას – პქონდეს ოჯახი – შეიძლება იძულებითი ხასიათის გამოკვლევის ჩატარება მოგიხდეს, რომელიც მამობის საკითხს გაარკვევს. უფრო რთულია შემთხვევები, როცა სამართალი მამობრივად იქცევა ჩვენს მიმართ და გვაიძულებს მოვიქცეთ ჩვენთვის უცხო ფორმით. არსებითად, ასეთია საჭესთან

უსაფრთხოების ქამრის შეკვრის მოთხოვნა. არის თუ არა ეს ჩვენს პირად ცხოვრებაში დასაბუთებული ჩარევა? ორი ფასეულობის – ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემისა და მისი ჯანმრთელობის პატივისცემის შეჯახებაში იმარჯვებს უკანასკნელი. მაგრამ ამგვარ შემთხვევებშიც კი სამართალი უადრესი სიფრთხილით უნდა მოქმედებდეს. როდესაც ჩვენი დამოუკიდებლობა სცილდება გარკვეულ ჩარჩოებს, ვველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას სამართალიმ შეიძლება შესწავლოს ის და გვაიძულოს ვიზრუნოთ საკუთარ ჯანმრთელობაზე.

ხელისუფლებას ჩვენი სახლში ტყუილბრალად შემოჭრა და ჩვენი სამფლობელოს შელახვა არ შეუძლია. მან უნდა დაიცავს ქვეყნის გარკვეული წესი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სასამართლოს ან პროკურორის ორდერი, თუმცა კი, ჩვენი აზრით, მხოლოდ სასამართლოს უნდა პქონდეს ამგვარი ორდერის გაცემის უფლება. მეორე და უშეგებელია ვინმეს სახლში შესვლა ნებისმიერ დროს – განსაზღვრული უნდა იყოს საათები, როცა ეს დასაშვებია. მესამე საჭიროა დასაბუთებული, კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მიზეზები, მაგალითად – გამოძიების ჩატარების ან მასალის შეგროვების აუცილებლობა.

პირადი ცხოვრების დაცვის უფლების უზრუნველყოფის მიზნით შევიძლია მივმართოთ სასამართლოს და მოვიხსოვოთ არა მხოლოდ ბოდიშის მოხდა, არამედ ამგვარ ჩარევაზე კატეგორიული უარის თქმა მიმავალშიც. მაგალითად: პირადი მიმოწერის დაბრუნება, ან პუბლიკაციიდან ტექსტის ფრაგმენტის ამოღება. ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია სარჩელით ფულადი კომპენსაციის მოთხოვნაც, მაგალითად, პრესაში გამოქვეყნებულ მასალებთან დაკავშირებით. და ბოლოს – ზოგ შემთხვევაში შეგიძლია სისხლის სამართლის საქმე აღუბრათ დოკუმაციის გამო.

პირადი ცხოვრების უფლება – უადრესად მნიშვნელოვანი უფლებაა. სხვა უფლებების მსგავსად პირადი ცხოვრების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება – იგი შეიძლება შეიზღუდოს, როცა საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს თუ საზოგადოების უშიშროებას. ისევე, როგორც კერძო საკუთრების უფლება, პირადი ცხოვრების უფლებაც შეიძლება შეიზღუდოს წყაღილობის ან ხანძრის დროს, როცა აუცილებელია სახლებში შესვლა. პირადი ცხოვრების უფლება იძულებით იზღუდება სხვათა

უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებით. ეს შეზღუდვების ტიპური მაგალითია, რომლებთანაც საქმე გვაქვს ადამიანის უფლებათა სფეროში — ჩვენ ყოველთვის ანგარიში უნდა გაუწიოთ სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს. აი, მაგალითი ოჯახური ცხოვრებიდან: ერთი ოჯახის წევრებს უფლება აქვთ ერთად იცხოვრონ, მაგრამ თუ ოჯახი დემორალიზებულია, ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ჩვენ შეგვიძლია მოვწვიოთ იგი ოჯახს და ამით შრობლების უფლებები და მოვალეობები შევლახოთ. პირადი ცხოვრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით. არის შემთხვევები, როცა ვიდუოკამერებისა და მოსასმენი აპარატების დადგმა, მიმოწერის კონტროლი ხდება საჭირო. ასეთი შემთხვევები ყოველთვის სახიფათოა. სპეცსამსახურებს მიდრეკილება აქვთ გადაგვარებისკენ — ისინი სახელმწიფოს შიგნით სახელმწიფოდვე იქცევიან. საზოგადოებრიობამ უნდა აკონტროლოს სპეცსამსახურები. ვინაიდან სპეცსამსახურები ემორჩილებიან მთავრობას, მათი კონტროლი ხელისუფლების სხვა შტოებს უნდა გადაეცეს — პარლამენტს, ან სასამართლო სისტემას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება კონტროლი ქმედითი. სპეცსამსახურთა უკონტროლობა იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ნაცვლად ჩვენ პოლიციურ სახელმწიფოს ავაშენებთ.

სახელმწიფომ ვერ უნდა შეძლოს ტყუილბურადოდ მოქალაქეთა პირადი ცხოვრების უფლების შელახვა. სახელმწიფოს არა აქვს უფლება საკუთარი სიამოვნებისათვის შეგაროვოს ინფორმაცია მოქალაქეების შესახებ, შექმნას მონაცემთა კომპიუტერული ბანკები, რომელთა გაკონტროლება და დაცვა შესაბამისი უფლებაშოსილებების არმქონე პირთაგან ძალზე ძნელია. მათ კი ეს ინფორმაცია საკუთარი მიზნებისათვის შეიძლება გამოიყენონ. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანი თვითონ წვევს, თუ რა ინფორმაციას მიაწვდის გარემოცვას საკუთარი თავის შესახებ. თანამდებობის პირებს უფლება აქვთ დაგვისვან კითხვები ჩვენი ცხოვრების შესახებ მხოლოდ და მხოლოდ კანონის ფარგლებში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს კანონი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

თითოეულს გვაქვს უფლება... ვიკონიოთ

საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით მრავალი კითხვა ჩნდება: შეიძლება, ნებისმიერი რამ იყოს ჩვენი საკუთრება? გვაქვს თუ არა უფლება ისე მოვეძქეთ ჩვენს საკუთრებას, როგორც მოგვესურება? შეუძლია ნებისმიერ ჩვენთაგანს გახდეს მესაკუთრე? და ბოლოს: შეუძლია თუ არა ხელისუფლებას წამართვას სახლი ან დამიწვისი გადასახადი? საკუთრების უფლების შელახვა თითქმის ყველა დიდი რევოლუციის მიზეზი იყო.

ყველა მნიშვნელოვანი ისტორიულ მომენტში საკუთრებითი ურთიერთობები იცვლებოდა. აბსოლუტიზმის ეპოქაში საკუთრება ძლიერ შეზღუდული იყო — მიწა კუთვნიდა ხელმწიფეს, რომელიც მას ფეოდალებს გადასცემდა სარგებლობაში. გლახთა უფლებების შეზღუდვას სხვა ადამიანების განკარგვამდე მიეყვადით. აბსოლუტიზმი, რომელიც ევროპაში მეთრამეტე საუკუნის ბოლოს დაამხეს, კიდევ დიდხანს ცოცხლობდა რუსეთში.

რევოლუციებმა მთლიანად შეცვალეს საკუთრებითი ურთიერთობების სტრუქტურა. სამი რევოლუციური ლოზუნგიდან — თავისუფლება, თანასწორობა, საკუთრება — ბურჟუაზიულ რევოლუციებში საკუთრების ერთგულნი აღმოჩნდნენ. არსებითად, თავისუფლების ლოზუნგი საკუთრების გადაცემასა და ადამიანთა გადაადგილებას გულისხმობდა. ადამიანები, რომლებიც მემამულეთა თითქმის განუყოფელ განკარგვაში იმყოფებოდნენ, ქადაკებას და ფაბრიკებში დაქირავებული შრომისთვის თავისუფლდებოდნენ. რევოლუციების უმთავრეს მიზანს კი საკუთრება წარმოადგენდა, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე თანასწორობა.

ევროპაში მანამდე არასდროს არსებულა საკუთრების აბსოლუტური უფლება. ალბათ იმიტომ, რომ აბსოლუტური საკუთრების უფლება მხოლოდ მეფეს გააჩნდა (ან მეფის მიერ იყო უზურპირებული). ამიტომაც, ადამიანმა, რომელიც ფლობდა მიწას ან სხვა რამეს, იცოდა, რომ მისი ეს უფლება ოდნავ შეზღუდულია. ამერკაში კი საკუთრების უფლება

იმთავითვე აბსოლუტური უფლება იყო. ამერიკის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, არსებითად ინდელთა განდევნა და მათი მიწის, რომელსაც ამერიკელები უპატრონოდ განიხილავდნენ, დაუფლება იყო. საკუთრება რევოლუციას, ხოლო შემდგომ ამერიკის კონსტიტუციას დაედო საფუძვლად. ამერიკაში საკუთრება ძირითად ფასუფლობად იქცა – საკუთრებისა და საკუთრების უფლების დასაცავად სახელმწიფოს მარგეულირებულ როლსა და სოციალურ კანონმდებლობას ამერიკა დიდხანს ეწინააღმდეგებოდა.

საკუთრების უფლება – ძირითადი, ფუნდამენტური უფლებაა. იგი არა მხოლოდ ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, არამედ საერთო თავისუფად საქმიანობას განსაზღვრავს. საკუთრების უფლების პატივისცემა ის საფუძველია, რომელსაც ეყარება მთელი საზოგადოება. საკუთრების გაუქმების შედეგები ჩვენ ყველამ ვიქვინეთ კომუნისტურ ქვეყნებში. პირველი დარტყმა მესაკუთრებს ოქტომბრის რევოლუციამ მიაყენა. მშრომელთა უფლებების 1918 წლის დეკლარაციამ ფუფე ლოზუნგი შემოიტანა – „განსაზოგადოებრობა“, რამაც პირვენება უკან აღიწია. თანასწორობის საბაბით დახოცეს ასიათასობით უღანაშაულო ადამიანი, მათი საკუთრება – სახლები, მამულები, ფაბრიკები – გაიძარცვა. ყოფილი მესაკუთრეები საძულველ კლასობრივ მტრებად იქცნენ, რომლებიც ხიფათს უქმნიდნენ კომუნისტურ საშობლოს. ნაციონალიზაციის შედეგად მიწა სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა. კომუნისტსა და ევროდალიზმს შორის გარკვეული სტრუქტურული მსგავსება არსებობს. ყვერად – საკუთრებისთან მიმართებაში. არსებობდა მხოლოდ ერთი მესაკუთრე – სახელმწიფო, ხოლო კომუნისტ ფეოდალებს – მსხვილ საწარმოებსა და მეურნეობებს – საკუთრების შეზღუდული უფლება ჰქონდათ. მსგავსება აშკარაა.

ომის შემდეგ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების საბჭოური მოდელი ინერტება. 1946 წლის სოციალისტური კონსტიტუცია პროუნებას საზოგადოებას უქმედებარებს. ახალი იდეოლოგიის მკაფიო გამოხატულება გახდა 1946 წლის კანონი ნაციონალიზაციის შესახებ პოლონეთში. სახელმწიფო ეკონომიკის სფეროში მონოპოლისტიად იქცა. მოქალაქეებს წართიკეს საკუთრების უფლება, რის ნაცვლადაც „სოციალისტური საკუთრების

სადარაჯოზე დგომა“ დაეაღეს. ასე ჩაუყარეს საფუძველი ცენტრალური დიგეკემის აღმინსტრაციულ-მმართველურ სისტემას. სახელმწიფო დაეუფლა საკუთრების უდიდეს ნაწილს და ქვეყნის ყველა საწარმოო ფონდის ხელში ჩაგდებას შეეცადა. ნაციონალიზაცია ის დოკუმენტი იყო, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა სახალხო მეურნეობის მართვის მოგვიანებით დანერგული მეთოდებზე გადასვლა. ერთენული მართვის უფლების პოლონური კომიტეტის საფუძველზე მიმდინარეობდა მიწების უკანონო ჩამორთმევა. ექსპროპრიირებული ყოფილი მესაკუთრეები კლასობრივ მტრებად გადაიქცნენ. ისტორიული სამართლიანობის აღდგენის საბაბით მათი, აწ უკვე განსაზოგადოებრივული საკუთრება გლეხებს ურიგებოდა. ასევე მოქცნენ კომუნისტები გასახლეულების საკუთრებას. საზღვრების დაცვასთან დაკავშირებით ათასობით ადამიანი გახდა იძულებული შეეცვლებინა თავისი სახლი, ხოლო მათი საკუთრება გაიძარცვა. ასე დამართა პოლონურ ადგილ-მამულებს აღმოსავლეთ პოლონეთში და გერმანულს – აღდგენილ მიწებზე, ან უკრაინულს, განადგურებულს ოკრაცია „ვისლას“ დროს. კომუნისტების პირობებში საქონლის მუდმივი უკანონობის გამო – ამას ხშირად დევიციტის სისტემაცა უწოდებდნენ – საშინაო პოლიტიკის არსებით ელემენტად სხვადასხვა სახის დოვლათის განაწილება იქცა. პრივილეგიების, სპეცმალაზიებისა და სპეცშეკეთების სისტემა საზოგადოების კორუფციის უზარმაზარი სისტემის ნაწილად გადაიქცა. ეს სისტემა, უპირველეს ყოვლისა სხვადასხვა რანგის ხელისუფალთათვის, ზოგი ინტელექტუალისათვის – შერელების და მსახიობებისათვის, აგრეთვე ზოგი პროფესიული ჯგუფისათვის, მაგალითად მუშაკებისათვის იყო განკუთვნილი. კომუნისტების სულ უკანასკნელ დღებშიც კი მათ საკუთარი დახურული მალაზიები ჰქონდათ. გარკვეული საქონლის შოვნა მხოლოდ ტაღონით შეიძლებოდა. მაციერისა ან კარადის ტაღონი ლოიალობის საფასურს წარმოადგენდა. ვალუტის სახელში შენახვა დანაშაულად ითვლებოდა. კერძო პირის მცდელობა გამოეყენებინა დაიჭრავებული შრომა, იდევნებოდა. სახელმწიფო სამუშაოს ერთადერთ მიმცემად იქცა.

კულტის საგნების მიმოქცევა არ ხდებოდა. მორწმუნეებს – საყდრებს ართმევდნენ. სსრკ-ში შეხვდისას კი მგზავრებს – მიბღიას. საკუთრების უფლების შელახვას თან სდევდა სინდისისა და რწმენის თავისუფლების

შეჯამება.

საკუთრების უფლება – ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებათაგანია. მაგრამ როგორია ეს უფლება – პირადი, ეკონომიკური თუ სოციალური? თანამედროვე კონსტიტუციები – არა მხოლოდ კომუნისტური ან პოსტკომუნისტური, არამედ ესპანური ან პორტუგალიურიც – მას სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს მიაკუთვნებენ. დობერალური თეორიები საკუთრების უფლებას განიხილავენ როგორც ერთ-ერთ ძირითად პირად უფლებას და ამით ასახულებენ, რომ ადამიანი საკუთრების გარეშე ვერ იქნება დამოუკიდებელი, ხოლო დამოუკიდებლობა – ავტონომიურობასთან ერთად – თავისუფლების შემადგენელი ნაწილია. საკუთრებას მოკლებული ადამიანი სხვისგან – სავარაუდოდ მფლობელებისგან ან საქონლის მომწოდებლებისგან არის დამოკიდებული. მარქსიზმის წინა პლანზე ყოველთვის ფიზიკური შრომა იყო. გონებრივი შრომა ნაკლებად მნიშვნელოვანად ითვლებოდა. კონკრეტული პროდუქტის მიმართ მიდრეკილება ხომ უფრო ადვილად გასაცეხია, ვიდრე იდეების მიმართ მიდრეკილება. დემოკრატიულ სახელმწიფოში თავიდან გეიხდება ინტელექტუალური საკუთრების მიმართ პატივისცემის ფორმირება, იქნება ეს სახელწოდება, მუსიკალური ნაწარმოები, იდეა თუ პატენტი. საზოგადოება, რომელშიც არ არსებობს პატივისცემა ინტელექტუალური საკუთრების მიმართ – რობოტების საზოგადოებაა, რომელიც მხოლოდ საგნების წარმოებით არის დასაქმებული. ინტელექტუალური საკუთრება საკუთრების უადრესად მნიშვნელოვანი სახეა – იგი უშუალო კავშირშია ადამიანის არსთან, მის ინდივიდუალობასა და ეკონომიურობასთან. ადამიანის განუყოფლობას მისი იდენტურობა და შემოქმედებითი საქმიანობა განსაზღვრავს. სწორედ ამიტომ არის საჭირო შემოქმედებითი საქმიანობის დაცვა არა მხოლოდ პირადი ცხოვრების უფლებაზე დაყრდნობით, არამედ საკუთრების უფლების საფუძველზეც. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა რთულია. მას სააგტორო უფლება, პატენტი და სხვა ამგავარი ინსტრუმენტები სცავენ. მიუხედავად ამისა, ამ საკუთრების დაცვა რთული საქმეა, ვინაიდან მოპარვა აქ შედარებით ადვილია. ქონების მოპარვისას საჭიროა რაღაცის აღება და გატანა; ბევრად უფრო ადვილია სხვისი სიმღერის კონცერტზე ან რესტორანში შესრულება. ამიტომაც ამ საკუთრების დაცვა რთულია. ნახეთ, რა ხდება ამერიკასა და ჩინეთს შორის

ურთიერთობებში – ისინი საბაჟო ომის ზღვარზე იმყოფებიან. საკუთრების უფლება, როგორც ერთ-ერთი ეკონომიკური უფლება და ერთი მცირე თავანი, რომელსაც ევროპული კონვენცია არეგულირებს, შეზღუდული დაცვით სარგებლობს. საკუთრების მიმართ – საგნებისა და ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების თვალსაზრისით – სახელმწიფოს გაცილებით უფრო მეტი ნება აქვს, ვიდრე პირადი ცხოვრების უფლების შემთხვევაში. პირადი ცხოვრების უფლება – პირად უფლებათა რიგს განეკუთვნება. საკუთრების ეკონომიკური უფლება კი შეზღუდულად არის დაცული და სახელმწიფოს შეუძლია, მაგალითად საკუთრების გასხვისება (ცხადია, ანაზღაურებით) ან გადასახადის დაწესება, რითაც საკუთრების უფლება იზღუდება. საერთაშორისო სამართალი ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვებს. სახელმწიფო თავად ადგენს დაშვებულ ფაქტებს შიდა კანონმდებლობის საფუძველზე. ბუნებრივია, რომ კეთილსინდისიერება თავისთავად იგულისხმება.

გადასახადების გადახდა მოქალაქის ერთ-ერთ მოვალეობასა და თავისუფლების უზრუნველყოფი შენარჩუნების ელემენტს შეადგენს. საქმე ის გახლავთ, თუ როგორია გადასახადების მტრისმეტად მაღალი თუ მტრისმეტად დაბალი; როგორია გადასახადების დადგენისა და აკრეფის წეხი – მაგალითად, აქვს თუ არა გადასახადების შესახებ კანონს უკუქმედების ძალა, შესაძლებელია თუ არა საბაზრო, კაპიტალისტურ ეკონომიკაში გადასახადების გადაახდისთვის მოზადება, ან ღირს თუ არა კაპიტალის დაბანდება და სხვა მისთანანი. არ შეიძლება, ავრთვეც, გადასახადებთან მიმართებით უფრო ზოგადი საკითხის დაიწვებაც. ევროპაში საკუთრების უფლება საზოგადოების კეთილდღეობით იზღუდება, ამერიკაში კი საკუთრების უფლება შეუზღუდავია. ამიტომაც ამერიკელები თურცა კი ურთიგვრებიან გადასახადების არსებობას, იდეურად უჯანყდებიან მათ, ხოლო ევროპელები გადასახადებს იმ ტვირთად განიხილავენ, რომელიც საკუთრებას უზრუნველყოფს.

არის ისეთი მიზნები, რომელთათვისაც ღირს საფასურის გადახდა. სახელმწიფომ უნდა დაგვიცვას გარე და შიდა მტრისაგან, ამიტომაც გვიწევს გადასახადების გადახდა, რომელიც ჯარის, პოლიციის, სასამართლოსა და საპრობილეების შენახვას ხზარდება. ამის გარეშე სახელმწიფო უბრალოდ არ არსებობს. ყოველივე დანარჩენი – შეთანხ-

მების სიგანია. როცა გადასახადები მაღალია – ჩვენ უფასო განათლება და ჯანდაცვა გვაქვს. სასამართლოს ან ჯარის პრიატიზაციის იდეა აბსურდულია, ციხეების პრიატიზაციის იდეა – ერთობ საეჭვო. საკუთრება დასაცავია არა მხოლოდ სახელმწიფოსაგან, არამედ სხვა ეკრძო მესაკუთრეებისაგანაც. სახელმწიფომ ისეთი სამართლებრივი ნორმები უნდა შეიმუშაოს, რომელთა საფუძველზე სადავო საკითხები გადაიჭრება.

საკუთრების უფლება მთელ რიგ მოსაზრებათა გამო შეიძლება შეიზღუდოს, იქნება ეს საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური ინტერესი, ეკოლოგიური პრობლემა თუ ისტორიული ფასეულობის დაცვის აუცილებლობა. ხელოვნების ნაწარმოების მფლობელს მისი შეუზღუდავად განკარგვის უფლება არა აქვს, არ შეუძლია მისი განადგურება. სახლის მებატონემ სტიქიით დაზარალებულებს უნდა დაუთმოს ოთახები; მიწის მესაკუთრეს შეიძლება – ანაზღაურების გადახდით – ჩამოერთვას მიწა საეკონომიკო გზის მშენებლობისათვის. ამ შემთხვევაში სათანადო ანაზღაურება არა მხოლოდ მიწისა ან სახლის საფასურს მოიცავს. ფულადი ანაზღაურება საკმარისი უნდა იყოს, რათა ახალ ადგილზე ძველ დონესთან მიახლოებული ცხოვრება იყოს უზრუნველყოფილი.

საკუთრების უფლების თვითნებურად შეზღუდვა დაუშვებელია – ასეთ შემთხვევაში საკუთრების უფლება პიროვნების თავისუფლების ძირითად გარანტიად უკვე ვეღარ ჩათვლება. ამიტომაც საკუთრების უფლების შეზღუდვა მოცემული სახელმწიფოს საკონსტიტუციო ნორმებთან შესაბამისობაში უნდა იყოს. ამგვარი ნორმის მაგალითად ვაიმარის კარგად ცნობილი კონსტიტუციის ცნობილ დებულებას მოვიყვანო: „საკუთრება გაგაფლადებულეა.“

კომუნისტებმა გააანადგურეს თითქმის ყველაფერი, რაც კი დაიტაცეს. ხოლო თუ რამე დარჩა, ისიც კი არ დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს.

პოსტკომუნისტურ რევოლუციებს უმნიშვნელოვანესი საკითხი აქვთ გადასაწყვეტი, რომელთაგანაც ბურჟუაზიულ რევოლუციებს შესება არ ჰქონიათ. ეს არის საკუთრების პრიატიზაციის საკითხი. საკითხი მართლაც უადრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მის გადაწყვეტაზე დამოკიდებული საკუთრების უფლებასთან მიმართება: განვიხილოთ მას როგორც ადამიანის ერთ, არც თუ მნიშვნელოვან უფლებას, თუ სხვა ყველა უფლებისა და თავისუფლების საფუძველად მიგვაჩნია.

თითოეულს გვაქვს უფლება..... პროტესტისა

არავითარი სიბაბით არ შეიძლება ხელისუფლებამ შეზღუდოს ის მიზნები, რომელთა მისაღწევად ადამიანები ერთდებიან ან აწყობენ დემონსტრაციების. ამის გარეშე არ არსებობს თავისუფალი საზოგადოება. ზოგადად რომ ვთქვათ, პოლიტიკური უფლებები გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობის უფლებაა. ეს არის საარჩევნო უფლება – ხმა მისცე და იყო არჩეული, ასოციაციების უფლება, დემონსტრაციების უფლება და სხვა ამგვარი. ბუნებრივია, რომ სხვა უფლებების მსგავსად პოლიტიკური უფლებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ღირსებასთან, თუმცა ამ კავშირს რამდენადმე განსხვავებული ხასიათი აქვს, ვიდრე პირადი თავისუფლებების შემთხვევაში. პირადი თავისუფლებები შეგვიძლია შევადაროთ ფარს, რომელიც გვიცავს გარედან ჩარევისაგან და ჩემს ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევისაგან; პოლიტიკური თავისუფლებები მანიჭებს შესაძლებლობას ემონაწილეობდე გადაწყვეტილებათა მიღებაში. ახლა უკვე ყველაფერი გასაგები ხდება: მც ციცილები და საზოგადოებაც, რაკი საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება მონაწილეობდეს გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომელნიც უშუალო კავშირშია თითოეულ ჩვენგანთან და მთლიანად საზოგადოებასთან.

დემონსტრაციების – ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით – პირველად ციცილებით იმ პერიოდში, რომელიც წინ უძღოდა მე-18 საუკუნის რევოლუციებს, როცა ხალხი გავიდა ქუჩაში, როცა რაღაცამ უბიძგა მას ამისათვის და როცა ხალხმა პოლიტიკოსებზე ზემოქმედება იწყო. ბურჟუაზიული რევოლუციების წინა პერიოდში და თვით ბურჟუაზიული რევოლუციების დროს ხალხმა თითქოს აეტონომიზაცია განიცადა და თვითონ გავიდა ქუჩებში, დაიწყო საკუთარი მოთხოვნების წამოყენება. ინდუსტრიალიზაციის პერიოდის დაწყებასთან ერთად უკვე ნამდვილ დემონსტრაციებთან გვაქვს საქმი.

ტოტალიტარულ სისტემებს ერთგვარი თეატრალურობა ახასიათებთ: ხალხმრავალ დემონსტრაციებს, ხალხმრავალ კრებებს აწყობდნენ ნა-

ცისტებიცა და იტალიელი ფაშისტებიც. შევეცილია დავსვათ კითხვა – რას ემსახურება ყოველივე ეს, რისთვის სჭირდება სისტემას ამგვარი მობილიზაცია? ვფიქრობ, რომ სისტემა მობილიზაციას რიგი გარემოებების გამო ახდენს. პირველი – დემონსტრაციის აქტს რაღაც საბაბი, მაგრამ მისი უფრო სიღრმისეული მტირია ხალხში ისეთი კოლექტიური ქცევის გამოწვევა, რომელშიც ხელისუფლება დაინტერესებული. დემონსტრაციაში მონაწილეობა არა მხოლოდ ხელისუფალთა მხარდაჭერის გამოვლენად იქცევა, არამედ იმასაც ადასტურებს, რომ ადამიანი სისტემის მორჩილია – თოვლში, წვიმასა თუ პანანაკებაში ხალხი იძულებით გადის დემონსტრაციაზე. ტოტალიტარულ სახელმწიფოს წამაღწეუმ ჭირდება იმის მტკიცება, რომ იგი საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობს. ამიტომაც აწუბობდნენ არჩენებს არჩევანის ვაკეზე – საჭირო იყო ხმის მიცემა. ამიტომაც, განსაკუთრებით კრიზისების პერიოდებში, ხელისუფალი დემონსტრაციებს აწუბობდნენ. გახსოვთ? 68-ში, 70-ში, 76-ში – ყოველი კრიზისის შემდეგ პოლიონების ხელისუფლება სწორედ ასე იქცეოდა. გაიხსენოთ სილუზიის კომუნისტების მიერ წარმოთქმული სიტყვები – ის, ვინც საფრთხეს უქმნის პოლიონებს, საფრთხეს უქმნის სოციალიზმს.

კომუნისმის დროინდელი საერთაშორისო პოლიტიკის ერთობ დამახასიათებელი ელემენტი მშვიდობისათვის ბრძოლა იყო. მაგრამ მშვიდობისათვის ბრძოლაში მონაწილეობა მხოლოდ ხელისუფლების მიერ ხელდატეულთ შეეძლოთ. ყველა დანარჩენი, ყველა ვინც კი ამავე ღოზუნგით გამოდიოდა ქუჩებში, მიიჩნეოდა სისტემის მტრად და მათი დემონსტრაციები ირბოდა. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ძალაუფლება წყვეტდა, თუ ვის აქვს დემონსტრაციის ჩატარების უფლება. დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველ ადამიანს აქვს უფლება გამოვიდეს დემონსტრაციაზე და ამგვარად გამოხატოს თავისი შეხედულება იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არ ემთხვევა ხელისუფლების აზრს. როცა ესაუბრობთ შეკრებების დაკანონებულ თავისუფლებაზე, ვუკლისხმობთ შეკრებებს, რომელთა მოწყობისას ვხელმძღვანელობთ გარკვეული მიზნებით, შეკრებებს, სადაც მშვიდობიანად გამოვხატოთ ჩვენს შეხედულებებს. ბუნებრივია, რომ ვითვალისწინებთ რა სხვა ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებებს, ანგარიში უნდა გავუწიოთ შეკრებების თავისუფლების

გარკვეული შეხედულის აუცილებლობასაც. არსი ძირითადი შეხედულისა იმაში მდგომარეობს, რომ დაუშვებელია შეკრებების გამართვა კანონის დარღვევის მიზნით. არსებობს შეკრებების თავისუფლების მხოლოდ ერთი შეხედულება. შეკრების მონაწილეებმა არ უნდა მიმართონ ძალადობას, დაარღვიონ კანონიერება და გამოავლინონ ვანდალიზმი. ხელისუფლებას კი ეკრძალება დემონსტრაციის მიზნების რეგლამენტირება. ევროპის სასამართლომ გამოიჩინა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც დემონსტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს იმ მიზნების მოწინააღმდეგეთა აღშოთება, რომელთა მისაღწევადაც იგი იმართება. ეს გასაგებია, წინააღმდეგ შემთხვევაში რა აზრი ექნებოდა დემონსტრაციის გამართვას?

ადამიანის სხვა თავისუფლებების მსგავსად, დემონსტრაციის თავისუფლება მძიმდება არაბო ზოგ შეხედულებას, მაგრამ ყველა შეხედულება კანონით უნდა იყოს განსაზღვრული, ხოლო დემოკრატიულ ქვეყანაში მათი გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოსახრებით არის განაიზიარებული. მაგალითი: მე მსურს დემონსტრაციის გამართვა, სხვა კი დაინტერესებულია, რომ ამ ქუჩებში ავტომობილით იმოძრაოს. აქ უკვე კონფლიქტია. რა უნდა ქნას ხელისუფლებამ? როგორი შეხედულებს დაწესება შეუძლია მას? არსებობს სხვადასხვა სისტემა. ევროპული კონვენცია უშვებს იმგვარ შიდა კანონმდებლობას, რომლის პირობებშიც დემონსტრაციის მომწიბრები ვალდებული არიან მიიღონ ნებართვა დემონსტრაციის ჩასატარებლად. სხვა წესის მიხედვით კი, რომელიც მაგალითად პოლიონეთში მოქმედებს, საკამისია მხოლოდ შეტყობინება თუ სად ტარდება დემონსტრაცია.

რა უნდა გაკეთდეს, თუკი დემონსტრაცია იწვევს საზოგადოების აღშოთებას? შეუძლიათ თუ არა ორგანიზატორებს მოითხოვონ პოლიციის თანხლება, რომელიც დაიცავს მათ გაშვებული ბრბოს თვდანახმისაგან? დიახ, შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხება ერთ-ერთ თავისუფლებას, შესაძლებელია, უფლებებიდან გამომდინარე, ზოგი ისეთი ელემენტის გამოყენება, რომელიც სახელმწიფოსაგან მოითხოვს შესაბამის ქმედებას.

ხვდ გამოდგებიან – ეს შეიძლება გასაკვირდაც კი მოგეჩვენოს – ემიჯნავთ ერთმანეთისაგან შეკრებების თავისუფლებას ასოციაციათა

თავისუფლებიდან. არსებითად ეს ხომ ერთი და იგივეა - აზრისა და შეხედულებების გამოხატვის ძირითადი უფლების განსხვავებული ასპექტებია. ალბათ საჭიროა დაზუსტება - შეკრების თავისუფლება გულისხმობს შეკრებას განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრულ დროს. ჩვენ ვიკრიბებით, რათა სადღაც წაიდეთ, ან ფეხზე დგომით გამოვხატოთ პროტესტი. ვიკრიბებით რომ რაღაცა გამოვხატოთ. ასოციაცია კი უფრო მდგრადია, თუმცა არ არის მუდმივი. ეს არის ადამიანებთა იმეკარი ორგანიზაცია, რომლებსაც ერთმანეთთან ყოველდღიური შეხვედრა სულაც არ სჭირდებათ.

ტოტალიტარული კომუნისტური სისტემის დროს არსებობდა განსხვავებული, ფორმალურად დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები - საზოგადოებრივი კონტროლისა და მობილიზაციის მექანიზმების ერთგვარი მოხაიკა. ფორმალური თვალსაზრისით ასეთი ორგანიზაციების წევრობა არ იყო აუცილებელი, სინამდვილეში კი ადამიანები ძლიერ ზეწვლას განიცდიდნენ. სწორედ ამიტომ, ორგანიზაციების წევრებად ირიცხებოდა ამდენი ხალხი, სწორედ ამიტომ, მშრომელთა 90% პროფკავშირის წევრი იყო, ახალგაზრდობის ნახევარი - კომკავშირისა, რამდენიმე მილიონი კი - პოლკონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებისა, თუმცა, სრულიად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მათ უმრავლესობას საბჭოთა კავშირი სძულდა.

კომუნისტურ სისტემას, მისთვის დამახასიათებელი სწრაფეთი ყველას და ყველაფრის კონტროლისაკენ, არ შეეძლო ასოციაციების თავისუფლების განხორციელების დაშვება. აუცილებელი იყო, ერთი მხრივ, კონტროლი ყველაფრისა, რითაც დაკავებული არიან მოქალაქეები, ანუ - ფილატელისტებზეც კი იყო საჭირო მეთოდურურობის დაწესება, რათა მათ არ გამოეყვანებინათ თავისი კავშირი ისეთ ფორმად, სადაც საცქერ თემებზე ისაუბრებდნენ. ამავე დროს ფილატელისტების, როგორც არა-მწარმოებელი საქმიანობით დაკავებული ადამიანების მიმართ აგებულ დამოკიდებლებას იწინდნენ.

დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არის საზოგადოებრივი საქმიანობის რეგისტრირების, დოკუმენტრებისა და განცხადების აუცილებლობა. ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც სურს რაღაცის კეთება, არ არის ვალდებული ვინმეს რაიმე შეატყობინოს ამის შესახებ. იმ შემთხვევის გარდა,

როცა ამ ადამიანებს სურთ გამოიყენონ საკუთარი ასოციაციის რეგისტრაციით წარმოქმნილი სამართლებრივი შედეგები. თუ ასოციაციის დაფუძნება გეინდა, უნდა გაეატაროთ რეგისტრაციაში, მაგრამ ვერაყინ მოვთხოვს, რომ ჩვენ დოკუმენტის სახე მივცეთ საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბებასა თუ ჩვენს საუბარს ამა თუ იმ თემასზე.

რა შემთხვევაში შეუძლია სახელმწიფოს ასოციაციის საქმიანობის აკრძალვა? მხოლოდ მაშინ, როცა ასოციაცია დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა - იგულისხმება არა მისი ცალკეული წევრების დანაშაულებრივი საქმიანობა, არამედ მთლიანად ასოციაციისა. საშოქალაქო საზოგადოების ძლურალიზმი უაღრესად მნიშვნელოვანი ფასეულობაა და ამიტომაც ასოციაციის დაშლა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი. იგივე ეხება პოლიტიკურ პარტიებსაც.

დემოკრატია შეიძლება კონკურენტულ გარემოს შეეადაროს. ვაჭრობაში, როგორც ცნობილია, მაშინ იქნება ყველაფერი წესრიგში და მომხმარებელიც დაკმაყოფილებდა, თუკი რამდენიმე მწარმოებლის საქონელი ერთმანეთს კონკურენციას უწევს. ასევეა დემოკრატიის სფეროში: თუკი არსებობს მხოლოდ ერთი პარტია, მაშინ დემოკრატიაც გადაგვარებას განიცდის და აბსოლუტური მმართველობის მაგვარ ვითარებას მივიღებთ.

საჭიროა ოპოზიცია, საჭიროა განსხვავებული პარტიების არსებობა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მმართველი პარტიის საქმიანობას, და, ცხადია, უნდა მოქმედებდეს დემოკრატიის ძირითადი პრინციპი: უმრავლესობა მართავს, მაგრამ უმცირესობას უმრავლესობად გადაქცევის ყველა შესაძლებლობა აქვს.

ძალაუფლება კუთვნის უმრავლესობას, მაგრამ უმრავლესობის ინტერესები ხშირად ეწინააღმდეგება უმცირესობის ინტერესებს. ამიტომაც იმისათვის, რომ ვიცხოვროთ კარგად და ღირსეულად, მრავალი ძლიერი და კარგი საზოგადოებრივი ორგანიზაცია გვჭირდება.

თითოეულს გვაქვს უფლება..... ლაპარაკისა

სიტყვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. თუ მე არ შემიძლია იმის თქმა, რასაც ვფიქრობ, ან, გაცილებით უარესი - თუ მე მაიძულებენ ვთქვა ის, რასაც არ ვუთარხნებ, ამით დარტყმას აყენებენ ადამიანის უფლებების საფუძველთა საფუძველს - შეურაცხყოფენ ჩემს ღირსებას, მამცირებენ.

კომუნისტებს სჯეროდათ, რომ საკმარისია აკრძალვ რაღაცაზე ლაპარაკი და ეს რაღაცა შეწყვეტს არსებობას: თუკი არსებობს ცენზურის ინდექსი - აღარ არსებობს ადამიანი; თუკი აგიკრძალავენ რომელიმე ისტორიულ მოვლენაზე წერას - შეცვლიან წარსულს; თუ განაცხადებენ, რომ კიბერნეტიკა ან გენეტიკა ბურჟუაზიული ცრუმეცნიერებანია - შეცვლიან ბუნებას და სამყაროს აგებულებას. თავდაპირველად სიტყვის თავისუფლება ყველაფრის თქმის შესაძლებლობას ნიშნავდა. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ვიწყეთ სიტყვის თავისუფლების გაგება, როგორც უფლება ინფორმაციისა და შეხვედრებისა და მრწამსის გამოხატვისა.

როცა სახელმწიფო კონტროლს უწევს მედიას, მაშინ, სიტყვის თავისუფლება რომც არსებობდეს, იქმნება საშიშროება, რომ ხელისუფლება მას გააუქმებს და ამით მოსპობს დემოკრატიასაც.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ხელისუფლება ყოველგვარ მედიას აკონტროლებს - დიდსაც და პატარასაც. ეს ხელისუფლების ერთი განზოგადებული სამთავანია: პოლიტიკური ძალაუფლება, ეკონომიკური ძალაუფლება და ინფორმაციული ძალაუფლება.

პროპაგანდისტული ხმაურის შექმნა მიზნად იხსახვდა თავისუფალი აზრის ჩახშობას. თავს გვახვევდა რა გარკვეულ ეტალონებს, პროპაგანდა არ უშვებდა საკუთარ აზრების, სამჯაროს საკუთარი ხედვის, დანახულის აღსაწერად საკუთარი ენის გამოყენებას.

აი სამყაროს მათეული ხედვა: „ამხანაგებო, გჭვი არავის ეპარება, რომ დიდი ამოცანების გადასაწყვეტად ჩვენ სიმართლეს ველადადებთ. ჩვენ სიმართლეს ვამბობთ და დღეს დიდი და პირდაპირ უნდა

ვილაპარაკოთ ამაზე - დასაძალი არავინ გვაქვს. პარტიის სანდოობა მისივე ეფექტურობით განისაზღვრება“.

ცკის შენობიდან მის ახლოს მდებარე ცენზურაში იზგანებოდა ინსტრუქცია, თუ რა უნდა იყოს ამოღებული საზოგადოებრივი ცნობიერებიდან, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი სიტყვასთან საბრძოლველად. საჭირო გახდა სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებაც. პოლიტიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270 მუხლის თანახმად „პირები, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ, ამცირებენ ან აბუხად ივლებენ სახელმწიფო წყობას, ექვემდებარებიან თავისუფლების აღკვეთას.“ ყველასათვის კარგადაა ცნობილი ანტისაბჭოთა პროპაგანდა. აგიტაციის საბჭოური მუხლის ძალით ციხეებში ანეგლოტების მომყოლნიც კი ამოყოფდნენ ხოლმე თავს ამბობდნენ, რომ სწორედ მათი აშენებულა „ბელმოროკანადი“.

ცენზურის ინდექსებიდან: კონფიდენცირად - რელიგიური პუბლიკაციებიდან ამოსაღებია მარქსიზმის ნებისმიერი კრიტიკა.

ყველა სხვა ტოტალიტარული სინამდვილის მსგავსად, კომუნისტურ სინამდვილეშიც სიტყვა ქმნიდა ფაქტს. ეს წმინდა წერილს მოგვაგონებს. სიტყვა განსაზღვრავდა ადამიანის ადგილს საზოგადოებაში, სიტყვა განსაზღვრავდა ადამიანთა ჯგუფს და ერთობ გამოარტყემლი გზით მოხვანდა სიტყვებსა და ბოროტებას. სიტყვა განსაზღვრავდა ყველაფერს: ზედსართავი „სოციალისტური“ კარგს ნიშნავდა, ხოლო ყოველივე ამ განსაზღვრების გარეშე, ან რასაც სხვა განსაზღვრება ერთოდა - მაგალითად „კაპიტალისტური“ ან „იმპერიალისტური“ - იყო ცუდი.

სახელმწიფოს ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია მთელი გარე ინფორმაციის მოკვეთას ცდილობდა. მას სურდა თავისთვის ისეთი სივრცის უზრუნველყოფა, რომელშიც საკუთარი კონცეფციებისა და იდეების გაერყელებას შესძლებდა. სწორედ ამიტომ ახშობდნენ დასავლეთის რადიოხმებს, შეუძლებელი იყო დასავლური ეურნალ-გაზეთების გამოწერა. მხოლოდ რჩეული - ვინც ხელისუფლების ნდობით სარგებლობდა, ჰქონდათ შესაძლებლობა კეთიხათ დასავლეთის პრესა. იყენებდნენ სხვა მეთოდებსაც. უცხო ენებს ასწავლიდნენ ისე, რომ არავის ესწავლა. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად საბჭოთა კავშირში, უცხოელებთან კონტაქტი იზღუდებოდა.

ცენზურის ინდექსი: კონფიდენცირად - იმ სახელმწიფოების მიმართ,

რომელთანაც გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები, სიტყვების „სამხედრო დიქტატურა“, „პარტიზანი“, „სამხედრო ხუნტა“ ხმარება არ შეიძლება.

გარე ინფორმაციის კონტროლს, უპირველეს ყოვლისა, უშიშროების აპარატი აწარმოებდა თავისი საგანგებო ქვედანაყოფის მეშვეობით. განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ დანაყოფები, რომლებიც ახშობდნენ დასავლური რადიოსადგურების გადაცემებს პოლნურ ენაზე. მთელ ქვეყანაში ათობით მძლავრი დამხშობი დანადგარი იყო განლაგებული. საბჭოთა კავშირთან, ჩეხოსლავაკიასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან დადებული იყო ხელშეკრულებები ეთერის კონტროლში ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე.

პროპაგანდა ძველ სიტყვებს ახალ აზრს ანიჭებდა. ამ გზით ერზაცენა იქმნებოდა – არაოფიციალურად ჩვენ მას ახალ ენას ეუწოდებდით. კომუნისტურ სინამდვილეში სიტყვები თანაუფლება ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობიდან დეფაქტო განთავისუფლებას ნიშნავდა.

უშიშროება საკვანძო როლს თამაშობდა ეჭვჭორების გამაგრებლებთან ბრძოლაში, ანუ – რადიოში ან სხვა წყაროებში მოსმენილი ინფორმაციის გაცეცლა-გამოცეცლასთან. ერთი პიკანტური, თუმცადა, დავაოდ ტრაგიკული მაგალითი: 50-იან წლებში მეოთხე განყოფილების მთერ (განყოფილება, რომელიც კორტიდოზურებასა და მრეწველობის დაცვას ახორციელებდა) დაპატიმრებულია თითქმის ნახევარი დააპატიმრებს საბოტაჟისა და დივერსიის ბრალდებით, სინამდვილეში კი – ჭორების გავრცელებისათვის.

კომუნისტური კონსტიტუცია გვეაღებულებდა სიფხიზლეს ხალხის მტრების მიმართ და სახელმწიფო საიდუმლოს შენახვას გვაკისრებდა. კომუნიზმს მტერი სჭირდებოდა. გარედან მომდინარე საშიშროების გაზვიადება ჩვენს შებოტვას ამართლებდა, ქვეყანაში არსებული სინდვლეებიდან ყურადღების გადატანას ემსახურებოდა და ხელს უწყობდა ყველაფრის გასაიდუმლოებას, რისი გასაიდუმლოებაც კი შეიძლებოდა.

ყველა სახელმწიფოში არსებობს საიდუმლოება, მაგრამ კომუნიზმის დროს თვით გასაიდუმლოებული ინფორმაციის სიაც კი გასაიდუმლოებული იყო. ეს მიუღებელია. გასაიდუმლოებული ინფორმაციის სია ძალიან ზუსტი და ყველასათვის მისაწვდომი უნდა იყოს. მიუღებელია ისეთი

ფორმულირებები, როგორცა: „დასაშვებია ისეთი ინფორმაციის გასაიდუმლოება, რომელიც დიდი მნიშვნელობის მატარებელია სახელმწიფო ინტერესებისათვის“, ვინაიდან სახელმწიფო ინტერესების ცნება ადვილად ექვემდებარება გადაგვარებას, დაიფანება პოლიტიკოსთა ინტერესებზე და მათი შეცდომებისა და უპასუხისმგებლობის დაფარვას ემსახურება.

სახელმწიფო საიდუმლოების შენახვა იმ თანამდებობის პირთა ვალდებულებაა, რომლებსაც გაანდეს საიდუმლო ინფორმაცია. მათ ხელფასს უხდიან ამისათვის. მაგრამ დაუშვებელია ამ ვალდებულების დაკისრება ყველა მოქალაქისათვის. ამიტომ მიუღებელია კომუნისტური კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც გვაავალდებულებენ სიფხიზლესა და საიდუმლოების შენახვას. პრობლემა მაშინ ჩნდება, როცა გაურკვეველია, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ კრიტიკულ ვითარებაში. მაგალითად, რა უნდა ქნას მოხელემ, რომელმაც შეიტყო სამხედრო გადატრიალების შუადების შესახებ. ვფიქრობთ, რომ მან უნდა გაამაზუხუროს ეს ინფორმაცია და მისი დასჯა ამისათვის არ შეიძლება.

თუ რომელიმე ქვეყნის გაზეთებში მხოლოდ წარმატებების შესახებ არის ინფორმაცია, ეს იმის უტყუარი დასტურია, რომ ამ ქვეყანაში არ არის სიტყვის თავისუფლება.

არსებითად, ინფორმაციის თავისუფლება და სიტყვის თავისუფლება ერთი საკითხის ორი მხარეა: თუ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, უპირველეს ყოვლისა – ინფორმაცია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, თუკი მიუწვდომელია ცოდნა, მაშ რის საფუძველზე ჩამოყალიბდება ჩემი შეხედულებები?

მოქალაქე, რომელმაც არ იცის, თუ რა ხდება მის ირგვლივ, მოქალაქე კი არა – მონა. მოქალაქე, რომელმაც იცის, თუ რა ხდება მის ირგვლივ, მაგრამ არაფრის თქმის უფლება არა აქვს – ორმაგ მონობაშია.

ინფორმაციის უფლება ნიშნავს, კერძოდ, უფლებას თვალყური ადევნო ხელისუფლების საქმიანობას. მე მაქვს უფლება ვიცოდეთ, თუ როგორ მიიღება ჩემთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. საკმარისი როდია თქმა იმისა, რომ გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტმა ან სხვა სახელისუფლო ორგანომ. მე უნდა ვიცოდეთ, თუ რა იყო არგუმენტაცია, რა უპოვია დაიკავეს ან თუ იმ პოლიტიკოსებმა – ამის საფუძველზე მე შეგნებულად მივცემ ხმას შემდეგ არჩევნებზე. ამის გარეშე დემოკრატია

არ არსებობს

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქემ იცოდეს, თუ რა არის დასაშვები და რა - არა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ რა იქნება ამა თუ იმ ქმედების შედეგი, სად გადაის თავისუფლების ზღვარი. ჩვენ თავისუფალი სახელმწიფოსაკენ მივიწრაფეთ, სადაც ყველას ექნება უფლება აკეთოს ის, რაც კანონით არ არის აკრძალული. და ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ რა არ არის აკრძალული, მაშინ მას ისიც ეცოდინება, რომ ყველაფერი დანაშაუნი - დაშვებულია.

როცა მედია მხარს უჭერს ხელისუფლების პოლიტიკას, მართლაც უფრო ადვილია. იმიჯი, რომელსაც მედია ქმნის, ამომრჩეველზე მოქმედებს. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ სურს ხელისუფლებას მედიის დამორჩილება.

სწორედ ამიტომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი, რომ კანონმდებლობამ უზრუნველყოს ინფორმაციის გაცემის თავისუფლება. თუ ხელისუფლება ხელში ჩაიგდებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტროლს, იგი ვერც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ცდუნებას გაუძლებს. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა კი უცილობლად გამოიწვევს ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების კარიკატურულ დამახინჯებას.

კომუნიზმმა გვაჩვენა, თუ რა საფრთხის მატარებელია ვითარება, როცა ხელისუფლება აკონტროლებს მედიას: ტელევიზიას, პრესას, რადიოს. შედეგად მოხდა ის, რომ საზოგადოებრიობის შესაძლო ავლევების თავედან ასაცილებლად ხანდახან სპორტული მატჩის შედეგსაც კი არ გვატყობინებდნენ. წარმოდგინეთ, რომ ჩერნობილის თაობაზე ყველაზე უფრო გვიან შეფრთხილეთ - მსგავსი საშიშროებისათვის მოუზადებელმა სახელმწიფომ საკუთარ მოქალაქეებს ინფორმაცია დაუშალა. თუ ხელისუფლება აკონტროლებს მედიას, ჩვენს სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

გამოთქმის თავისუფლება - დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის გამოთქმები, რომლებიც ეხმიანება სხვათა აზრებსა და მრწამსს, არამედ ისეთი აზრებისა და მრწამსის გამოთქმაც, რომლებმაც შეიძლება აღაშფოთონ ადამიანები, წყენა მიაყენონ მათ ან საზოგადოებრივი არეულობაც კი გამოიწვიონ.

დემონსტრაციის ფორმის არჩევა - თვალსაზრისებისა და შეხედულებების თავისუფლების ერთ-ერთი პირობაა. გამოთქმის თავისუფლება ეხება არა მხოლოდ სიტყვას, არამედ მუსიკას, ქანდაკებას, თქვენ წარმოიდგინეთ - ჩაცმულობასა და ვარცხნილობასაც. ტოტალიტარიზმი ყოველთვის გადაჭარბებულად სერიოზულია და იუმორის გრძნობის ნატამალიც კი არ გააჩნია. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ვერ შეხვდებით ისეთ შენობებს, როგორებიც ბარსელონაში გაუდომ, ან ვენაში გუნდურტეასერმა ააშენეს. ტოტალიტარიზმი კულტურის სასახლეებს აშენებდა.

ინფორმაციის უფლება - თვალსაზრისებისა და მრწამსის გამოხატვის თავისუფლების შემადგენელია, რომელშიც იგულისხმება ინფორმაციის თავისუფალი გაცემა. ჩვენ უფლება გვაქვს ვიცოდეთ ყოველივე, რაც რაიმე დამოკიდებულებაშია საჯარო საქმეებთან. ამ თვალსაზრისით ინფორმაციის უფლება - სიტყვის თავისუფლების მეორე მხარეა. მე საკუთარი აზრებისა და შეხედულებების გამოთქმის უფლება მაქვს და იმ ინფორმაციის მიღების უფლებაც მაქვს, რომლის საფუძველზეც მიყალიბდება აზრები და შეხედულებები. ეს ძალზე მნიშვნელოვანი უფლებაა. თავდაპირველად, როცა თავისუფლება მხოლოდ იკიდებდა ფეხს, ეს უფლება ღირსეულად შეფასებული არ ყოფილა. ახლა, როცა ცენზურისა და ინფორმაციის დამახინჯების სავალალო გამოცდილება დაგვაჩვენოვთ, როცა ვიცით თუ რა მოსდევს ხელისუფალთა მიერ ინფორმაციის გასაიდუმლოებასა და კონტროლს, გვესმის, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს. ჩვენს ქვეყნებში ეს პრობლემა ერთ-ერთი აქტუალურია.

ადამიანი, რომელიც პოლიტიკოსობას გადაწყვეტს, სახიფათო პროფესიას ჰკიდებს ხელს, სახიფათოს მისი ჯანმრთელობისა და გუნება-განწყობისათვის. პოლიტიკოსმა კარგად უნდა უწყოდეს, რომ შეიძლება მძიმე დღეები დაუდგეს: ადამიანები აკონტროლებენ მის ქვეყას, აკრიტიკებენ მას. სწორედ ეს არის დემოკრატია და საფუძველი აღშფოთებისათვის აქ არ არსებობს. საჭიროა მხოლოდ დაფიქრება - ღირს კი? კრიტიკას მხოლოდ ერთი ბარიერი აქვს: დაუშვებელი ბოროტი განზრახვით პოლიტიკოსების შესახებ ტენდენციური და მცდარი ინფორმაციის გავრცელება. მე პირადად მიმაჩნია, რომ სხვა ბარიერები არ არსებობს.



სიტყვის თავისუფლება პასუხისმგებლობას გულისხმობს. სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებით მე ზიანს ვაყენებ ვიღაცას და პასუხიც უნდა ვაგო ამაზე, მაგრამ დაუსშვებელია ღაპარაკის აკრძალვა. ღაპარაკის აკრძალვა და ჟურნალისტების თავისუფლების შეზღუდვა საფრთხეს უქმნის ყველა უფლებასა და თავისუფლებას, რომლითაც თითოეული ჩვენგანი სარგებლობს.

სარჩევი

| | |
|--|----|
| წინასიტყვაობა | 3 |
| შესავალი | 5 |
| თავი I | |
| ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია | 6 |
| თავი II | |
| ღირსება | 15 |
| თანაწილობა | 20 |
| თავისუფლება | 25 |
| ხელისუფლების საზღვრები | 30 |
| თამაშის წესები | 35 |
| თავი III | |
| თითოეულს გვაქვს უფლება.. სიცოცხლისა | 41 |
| თითოეულს გვაქვს უფლება.. პირადი ცხოვრებისა | 47 |
| თითოეულს გვაქვს უფლება.. ვიქონიოთ | 53 |
| თითოეულს გვაქვს უფლება.. პროტესტისა | 59 |
| თითოეულს გვაქვს უფლება.. ღაპარაკისა | 64 |